F171
1947

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ განათლების
სამინისტროს ბრძანებათა
და განკარგულებათა

კრებული

ექვსეულიწადი მეათე

№ 5–6 | Сборник приказов и Распоряжений Министерства Просвещения Груз. ССР | 1947 წ.

შინაარსი

1. ბრძანება № 323—სოხუმისა და ოჩამჩირის ნორჩ-ტექნიკოსთა სადგურების მუშაობის შესახებ . . . . . 2 გვ.
2. ქუთაისის პიონერთა სახლის მუშაობის გამოკვლევის შედეგების შესახებ . . . . . 9 „
3. ბრძანება № 823—უმაღლეს პედაგოგიურ სასწავლებლებში დაუსწრებელთა ზაფხულის სესიების ჩატარების შესახებ . . . . . 19 „
4. ბრძანება № 821—მასწავლებელთა დაუსწრებელი სწავლების შესახებ 23 „
5. ბრძანება № 791—მცხეთის, ქარელის, ლანჩხუთისა და ქუთაისის რაიონებში სახელმძღვანელო წიგნების განაწილებისა და მოსწავლეებამდე დაყვანის შესახებ . . . . . 27 „
6. მიმართვა—ჩოხატაურის სახალხო განათლების რაიგანყოფილების გამგეს . . . . . 31 „
7. მიმართვა—წითელწყაროს სახალხო განათლების რაიგანყოფილების გამგეს . . . . . 40 „
8. მიმართვა—სამტრედიის სახალხო განათლების რაიგანყოფილების გამგეს . . . . . 51 „
9. ბრძანება № 816—კასპის, მცხეთის, თბილისისა და საგარეჯოს რაიონების; მცხეთის, კასპის, ლამისყანის, მუხრანის, ავჭალის რუსული და ქართული, სართიჭალის საშუალო, გიორგისტალისა და იგოეთის რვაწლიან სკოლებში გადასაყვანი და გამოსაშვები გამოცდებისათვის მზადების მიმდინარეობის შესახებ . . . . . 61 „

თბილისი 1947 წ.

F976

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა № 323

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსადმი

1947 წლის 28 თებერვალი

სოხუმისა და ოჩამჩირის ნორჩ-ტექნიკოსთა სადგურების მუშაობის შესახებ

გავეცანი რა სოხუმის და ოჩამჩირის ნორჩ-ტექნიკოსთა სადგურების მუშაობის გამოკვლევის მასალებს, აღვნიშნავ, რომ სოხუმისა და ოჩამჩირის ნორჩ-ტექნიკოსთა სადგურებში მოსწავლეთა შორის ტექნიკური ცოდნის დანერგვისა და დამოუკიდებელი მუშაობის ჩვევების გამომუშავების დარგში ერთგვარ გაუმჯობესებას აქვს ადგილი, სოხუმის ნორჩ-ტექნიკოსთა სადგურის ავიოსამოდელო და სამხატვრო (ხელმძღვანელები — საყვარელიძე და კარპენკო) და ოჩამჩირის ნორჩ-ტექნიკოსთა სადგურის ქიმია-ბუნებისმეტყველებისა და რადიო-ელექტროწრეების (ხელმძღვანელები—ჭურღულია და პავლოვი) მუშაობაში ჩაბმულ ნორჩ ავიომოდელისტთა, ნორჩ ბუნებისმეტყველთა და მხატვართა მიერ დამზადებული და შესრულებულია თვალსაჩინო ნაკეთობები და ნახატები ავიომოდელიზმის, ბუნებისმეტყველებისა და მხატვრობის დარგებიდან. ასე, მაგ.: სოხუმის ნორჩ-ტექნიკოსთა ავიოსამოდელო წრეში დამზადებულია თვითმფრინავის ფუზელაჟიანი მოდელი ბენზინის მოტორით, პლანერის სამი ფუზელაჟიანი მოდელი, პალენისავე ათი სქემატური მოდელი, თვითმფრინავ ილ—3 სამი მაკეტი, ილ—16 ტიპის თვითმფრინავის მაკეტი ელექტრომოტორით. ნორჩ ავიომოდელისტების პოპოვას, გოგორიშვილის და ბენიაშვილის მიერ დამზადებულმა ბენზინისა და რეზინის მოტორიანი თვითმფრინავების მომქმედ სქემატურმა მოდელებმა მაღალი შეფასება მიიღეს ავიომოდელისტთა საქალაქო შეჯიბრებაზე, ამავე წრეში კონსტრუირებული თვითმფრინავის ფუზელაჟიანი მოდელი ბენზინის მოტორით

და პლანერის ფუზელაჟიანი ორი მოდელი გადაგზავნილ იქნა მფრინავ მოდელების საკავშირო შეჯიბრებაზე.

მიუხედავად ამისა სოხუმისა და ოჩამჩირის ნორჩ-ტექნიკოსთა სადგურების მუშაობაში ჯერ კიდევ მნიშვნელოვან ნაკლოვანებებს აქვს ადგილი:

ა) მცირეა წრეებში ჩაბმულ მოსწავლეთა რაოდენობა, სოხუმის ნორჩ-ტექნიკოსთა სადგურის წრეებში გაერთიანებულია 72, ხოლო ოჩამჩირისაში—78 მოსწავლე.

ბ) წრეებში არიან ჩაბმული უმეტეს შემთხვევაში ერთი და იგივე სკოლის მოსწავლეები; ოჩამჩირის ნორჩ-ტექნიკოსთა სადგურთან მომქმედ სამხატვრო, ქიმია-ბუნებისმეტყველებისა და რადიოელექტროწრეებში გაერთიანებულ 78 მოსწავლიდან 55 ქართული საშუალო სკოლიდანაა. მიუხედავად იმისა, რომ სკოლებსა და ნორჩ-ტექნიკოსთა სადგურს შორის არც ისე დიდი მანძილია, მახლობელი სკოლის მოსწავლეები წრეში არ არიან ჩაბმულნი, არც სადგურის დირექტორისა და არც ოჩამჩირის განათლების განყოფილების მიერ არ არის მიღებული ზომები წრეებში სხვა სკოლების მოსწავლეების ჩასაბმელად.

გ) ზოგი წრეები მოსწავლეებით გადატვირთულია და არ არის დაცული განათლების სამინისტროს მითითებები სკოლისგარეშე საბავშვო დაწესებულებათა წრეების დაკომპლექტების შესახებ, მაგ., სოხუმის ნორჩ-ტექნიკოსთა სადგურის სამხატვრო წრეში 47 მოსწავლეა გაერთიანებული.

დ) როგორც სოხუმის, ისე ოჩამჩირის ნორჩ-ტექნიკოსთა სადგურს არ გააჩნია წრეებში გაერთიანებულ მოსწავლეთა საერთო სია, მათი პირადი ბარათები (ასეთი მხოლოდ სოხუმის ნორჩ-ტექნიკოსთა სადგურის სამხატვრო წრეს აქვს) და ძნელი დასადგენია, თუ რომელი მათგანი რა დროიდან მუშაობს სადგურში.

ე) წრეების დაკომპლექტებისას მხედველობაში არ არის მიღებული ინდივიდუალური შერჩევის პრინციპი, მოსწავლის მომზადება და ინტერესი, ერთსა და იმავე წრეში ხშირად სხვადასხვა ასაკისა და კლასის მოსწავლეები არიან გაერთიანებულნი და ერთნაირი პროგრამით მუშაობენ, რის გამო ბევრი მოსწავლე სათანადო ინტერესით არ ეკიდება მუშაობას და ხშირად აცდენს მეცადინეობას (ოჩამჩირის ნორჩ-ტექნიკოსთა სადგურის სამხატვრო წრე);

ვ) ნორჩ-ტექნიკოსთა სადგურებში წრეების ჩამოყალიბებისას ადგილი აქვს დადგენილ სტრუქტურაში ცვლილებების შეტანის ფაქტებს; მაგ. სოხუმის ნორჩ-ტექნიკოსთა სადგურში გაუქმებულია საზღვაო საქმისა და ელექტრომექანიკური ლაბორატორიები და მათ ნაცვლად შექმნილია სამხატვრო ლაბორატორია და ხეზე მუშაობის სახელოსნო, ხოლო სადგურის მხატვრული ხელმძღვანელის შტატი გამოყენებულია სამხატვრო ლაბორატორიის მეორე მუშაკისათვის, რომელიც ბიუჯეტით არ არის გათვალისწინებული.

ზ) სასწავლო მეცადინეობა და პრაქტიკული მუშაობა წრეებში არ არის სწორად რეგლამენტირებული: არ არის შედგენილი მეცადინეობის ერთიანი ცხრილი. ნაცვლად იმისა, რომ წრეები კვირაში ორჯერ მეცადინეობდნენ ორ-ორი აკადემიური საათის ხანგრძლივობით, სოხუმის ნორჩ-ტექნიკოსთა სადგურში წრეები კვირაში სამ და მეტჯერ მეცადინეობენ, ხოლო ოჩამჩირის ნორჩ-ტექნიკოსთა სადგურში ერთი და იგივე წრეები მუშაობას ყოველდღიურად აწარმოებენ. ამავე სადგურის ქიმია-ბუნებისმეტყველების წრისათვის კი სრულებით არ არის დადგენილი დღეები და საათი და, სამუშაო ოთახის უქონლობის გამო, მუშაობა სადგურში თითქმის არ ტარდება, მოსწავლეებს დავალებები სახლში ეძლევათ, ნაკლები ყურადღება ექცევა მოსწავლეთა გამოცხადებისა და ჩატარებული მუშაობის აღრიცხვას. ოჩამჩირის ნორჩ-ტექნიკოსთა სადგურის რადიო-ელექტრო და ქიმია-ბუნებისმეტყველების წრეების ხელმძღვანელებს სრულებით არ აქვთ აღრიცხვის მასალები.

არადამაკმაყოფილებელია მოსწავლეთა დასწრება წრეების მეცადინეობაზე (დასწრება საშუალოდ 30-40% არ აღემატება) სოხუმის ნორჩ-ტექნიკოსთა სადგურის სამხატვრო ლაბორატორიაში 47 მოსწავლიდან მეცადინეობას ესწრება მხოლოდ—10 მოსწავლე.

თ) წრის ხელმძღვანელი მასწავლებლები არ იცნობენ წრის წევრ მოსწავლეთა აკადემიურ წარმატებას, რის გამო ადგილი აქვს სკოლაში აკადემიურად ჩამორჩენილ მოსწავლეების ჩაბმას წრის მუშაობაში.

ი) წრეების პროგრამები და სამუშაო გეგმები არ არის შედგენილი სკოლისგარეშე საბავშო დაწესებულებათა წრეებისათვის განათლების სამინისტროს მიერ დამტკიცებული პროგრამებისა და მეთოდური მითითებების მიხედვით. იგი შედგენილია სკოლის შე-

ხაბამი საგნის სასწავლო პროგრამის მიხედვით, ან მასწავლებლის შეხედულებით ,რის გამო უგულებელყოფილია სკოლისგარეშე სა-ბავშვო დაწესებულებათა წრეების მუშაობის სპეციფიკური ... ხშირად სასკოლო მეცადინეობის დუბლირებას წარმოადგენს. ასე მაგ., ოჩამჩირის ნორჩ-ტექნიკოსთა სადგურის ქიმია-ბუნებისმეტ-ყველების წრეში ზოოლოგიის, ფიზიოლოგიის და ბოტანიკის წრე-ების სამუშაო გეგმები ბუნებისმეტყველების სასწავლო პროგრამე-ბის მიხედვით არის შედგენილი.

კ) სოხუმის ნორჩ-ტექნიკოსთა სადგურის ხეზე მუშაობის სა-ხელოსნოს და ავიოსამოდელო ლაბორატორიის და ოჩამჩირის ნორჩ-ტექნიკოსთა სადგურის რადიო-ელექტრო წრეს სრულებით არ აქვთ სამუშაო გეგმები, რის გამო შეუძლებელია მუშაობის შინაარსისა და თანმიმდევრობის გამორკვევა და, ამდენად, მუშაო-ბას უფრო შემთხვევითი ხასიათი აქვს. წრეების სამუშაო გეგმებში ნაკლები ადგილი აქვს დათმობილი ძირითადი თეორიული საკითხე-ბის გაშუქებას, უმთავრესად პრაქტიკული სამუშაოები სჭარბობენ. წრეების სამუშაო გეგმები არ არის დამტკიცებული დირექტორის მიერ.

ლ) სადგურის სამუშაო გეგმა ზოგადია და იგი არ მოიცავს ყვე-ლა იმ საკითხებს, რაც ნორჩ-ტექნიკოსთა სადგურის მუშაობის ში-ნაარსს შეადგენს.

მ) ნაკლები ყურადღება ექცევა წრის წევრ-მოსწავლეთა შორის პოლიტიკურ-აღმზრდელობით მუშაობას და სამეცნიერო-საგანმა-ნათლებლო პროპაგანდას. ნორჩ-ტექნიკოსთა არც ერთ სადგურში არ ტარდება ლექცია-საუბრები ტექნიკისა და მეცნიერების სხვა-დასხვა დარგიდან და მოხსენებები იდეურ-პოლიტიკურ საკითხებ-ზე და ასეთი არც გეგმაში არის გათვალისწინებული.

ნ) სუსტია ნორჩ-ტექნიკოსთა სადგურების მატერიალური ბაზა: ოჩამჩირის ნორჩ-ტექნიკოსთა სადგური მოთავსებულია ერთ 40 კვ. მტ. დარაბაში და ბინა არ არის საკმარისი წრეების მუშაობი-სათვის, სადგურის წინანდელი შენობა კი არადანიშნულებისამებრ არის გამოყენებული. არადანიშნულებისამებრ არის გამოყენებუ-ლი აგრეთვე სოხუმის ნორჩ-ტექნიკოსთა სადგურის სამი ოთახი, რომელიც ამჟამად აფხაზეთის ასსრ განათლების სამინისტროს (ორი ოთახი) და „აფხაზვაჭრობას“ უჭირავთ.

სადგურების ლაბორატორიები ღარიბია მასალებით და იარაღ-მოწყობილობებით.

ო) სუსტია ნორჩ-ტექნიკოსთა სადგურების კავშირი სკოლებთან. წრეების ხელმძღვანელები არ იცნობენ სკოლებში არსებული ტექნიკური წრეების მუშაობას, არ ეხმარებიან მათ. ნორჩ-ტექნიკოსთა სადგურებს არა აქვთ პრაქტიკაში შემოღებული თავიანთი მუშაობის საუკეთესო შედეგების გადატანა სკოლაში და თავის მხრივ სკოლის ტექნიკური წრეების გამოცდილების განზოგადოება წრის ხელმძღვანელთა შორის.

პ) ნორჩ-ტექნიკოსთა არც ერთ სადგურთან არ არის შექმნილი მეთოდური საბჭო. სუსტია დირექციის მხრივ ხელმძღვანელობა და კონტროლი წრის ხელმძღვანელ-მასწავლებელთა ყოველდღიურ მუშაობაზე.

ჟ) სოხუმის ნორჩ-ტექნიკოსთა სადგურის დირექტორს, მელიტონ კონსტანტინეს-ძე კოპალიანს, არ აქვს სპეციალური ტექნიკური განათლება, იგი არ იცნობს სკოლისგარეშე დაწესებულებათა მუშაობას და ვერ უზრუნველჰყოფს ნორჩ-ტექნიკოსთა სადგურის სასწავლო პრაქტიკული მუშაობის წარმართვას და წრეების მუშაობაზე ხელმძღვანელობის განხორციელებას.

რ) აფხაზეთის ასსრ განათლების სამინისტრო და ოჩამჩირის განათლების განყოფილება სათანადო ხელმძღვანელობას და დახმარებას ვერ უწევენ ნორჩ-ტექნიკოსთა სადგურებს.

ვბრძანებ:

1. დაევალოს სოხუმისა და ოჩამჩირის ნორჩ-ტექნიკოსთა სადგურის დირექტორებს:

ა) სკოლების მასწავლებლებსა და პიონერხელმძღვანელებთან ერთად შეისწავლონ და გამოავლინონ მეცნიერებისა და ხელოვნების სხვადასხვა დარგში მუშაობით დაინტერესებული ნიჭიერი ბავშვები და ჩააბან ისინი წრეების მუშაობაში და მიაღწიონ წრის წევრ-მოსწავლეთა რიცხვის გაზრდას; ოჩამჩირის ნორჩ-ტექნიკოსთა სადგურის დირექტორმა წრეების მუშაობაში ჩააბას მახლობელი სკოლების ტექნიკის დარგში მუშაობით განსაკუთრებით დაინტერესებული მოსწავლეები; განსაკუთრებით ნიჭიერ და უნარიან ბავშვებთან მოაწყონ ინდივიდუალური მეცადინეობა და პრაქტიკული მუშაობა;

ბ) ხუთი დღის ვადაში დააზუსტონ წრეებში ჩაბმულ მოსწავლეთა კონტინგენტი, შეადგინონ წრის წევრ-მოსწავლეთა სახელობითი ხია და პირადი ბარათები ნორჩ-ტექნიკოსთა სადგურებისათვის დაწესებული ფორმის მიხედვით; ცალკე გამოჰყონ ის მოსწავლეები, რომლებიც რამდენიმე წლის განმავლობაში სისტემატურად მუშაობენ სადგურში. არ დაუშვან არამოსწავლისა და ასაკგადაცილებულთა ჩაბმა წრეების მუშაობაში, სისტემატურად აწარმოონ სასწავლო-პრაქტიკული მეცადინეობაზე წრის წევრ-მოსწავლეთა გამოცხადების აღრიცხვა.

გ) შეისწავლონ წრის წევრ-მოსწავლეთა აკადემიური წარმატება სკოლაში და წრეებში არ დაუშვან ის მოსწავლეები, რომლებიც ჩამორჩენილი არიან სწავლაში;

მოსწავლეები ჩარიცხონ დამწყებთა, საშუალო და მაღალი ტიპის წრეებში ინდივიდუალური შერჩევით, მათი ცოდნისა და ტექნიკური მომზადებისა და მიდრეკილების მიხედვით.

დ) მოსთხოვონ წრეების ხელმძღვანელ-მასწავლებლებს: გაეცნონ სკოლისგარეშე საბავშვო დაწესებულებათა სამეცნიერო-ტექნიკური წრეებისათვის საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მიერ დამტკიცებულ პროგრამებს (იხ. სახელმძღვანელო დოკუმენტების კრებული კლასგარეშე და სკოლის გარეშე მუშაობის დარგში) და დამწყებთა საშუალო და მაღალი ტიპის წრეების სამუშაო გეგმები იმგვარად შეადგინონ, რომ იგი თემატიკითა და სასწავლო-პრაქტიკული მუშაობის სახეების მიხედვით განსხვავებული იყოს. წრის ხელმძღვანელებმა იმგვარად წარმართონ სასწავლო-პრაქტიკული მუშაობა, რომ იგი სასწავლო მეცადინეობის უბრალო გაგრძელება კი არ იყოს, არამედ ხელს უწყობდეს მოსწავლის ინიციატივისა და შემოქმედებითი უნარის გაშლას. ასწავლიდეს მას თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენებას: სისტემატურად აწარმოონ ჩატარებული მეცადინეობისა და პრაქტიკული მუშაობის თანმიმდევრულად აღრიცხვა; იქონიონ მოსწავლეთა მიერ დამზადებულ თვითნაკეთ ხელსაწყოებისა და მოდელების აღრიცხვა. შეადგინონ მათი პასპორტი. სადგურის დირექტორებმა პირადად განიხილონ და დაამტკიცონ წრეების სამუშაო გეგმები;

ე) შეადგინონ წრეების მუშაობის ერთიანი ცხრილი და დააწე-

სონ, რომ თითოეული წრე კვირაში ორჯერ მუშაობდეს ორ-ორი აკადემიური საათის ხანგრძლივობით;

ე) ნორჩ-ტექნიკოსთა სადგურის მნიშვნელობისა და საქმიანობის ფართოდ პოპულარიზების მიზნით მოაწყონ წრეების საუკეთესო ნამუშევრების (მოხსენებები, ნაკეთობანი, ნახატები) გადატანა სკოლებში და პერიოდულად მოაწყონ წრეების ნამუშევრების გამოფენა.

ზ) მეტი ყურადღება მიაქციონ წრის წევრ-მოსწავლეთა იდეურ-პოლიტიკური აღზრდის საქმეს და სამეცნიერო-საგანმანათლებლო პროპაგანდას: შეადგინონ ჩასატარებელ საჯარო მოხსენებათა და საუბრების თემატიკის გეგმა და კვალიფიციური ძალებით პერიოდულად ჩაატარონ წრის წევრ-მოსწავლეთა შორის მოხსენებები და პოპულარული საუბრები პოლიტიკურ, ზოგად-საგანმანათლებლო, მეცნიერულ და ტექნიკური ხასიათის თემებზე.

თ) გადამჭრელი ზომები მიიღონ წრეებისათვის ხელსაწყო-იარაღებისა და მასალების შესაძენად და ფართოდ გამოიყენონ შეფწარმოებების და მშრომელთა საზოგადოებრივობის დახმარება ამ საქმეში;

ი) განახორციელონ სისტემატური კონტროლი და ხელმძღვანელობა წრეების მუშაობაზე;

კ) ოჩამჩირის ნორჩ-ტექნიკოსთა სადგურის დირექტორმა მოქმედებაში მოიყვანოს სადგურის დინამოძრავი და გამოიყენოს იგი სამუშაო ოთახის გასანათებლად და რადიო-ელექტრო წრის დანადგარების მოძრაობაში მოსაყვანად.

2. სოხუმის ნორჩ-ტექნიკოსთა სადგურთან ხეზე მუშაობის სახელოსნოს ნაცვლად მოეწყოს ელექტრო-მექანიკური ლაბორატორია, მხატვრული ხელმძღვანელის მაგიერ აყვანილ იქნას საზღვაო საქმის ლაბორატორიის ხელმძღვანელი. დაევალოს სადგურის დირექტორს ერთი დეკადის ვადაში მოაწყოს აღნიშნული ლაბორატორიები და შეარჩიოს მათი ხელმძღვანელები.

3. დაევალოს აფხაზეთის ასსრ განათლების მინისტრს ამხ. სიგუას და ოჩამჩირის განათლების განყოფილების გამგეს ამხ. მარღანიას ა. წ. 1 აპრილამდე უზრუნველჰყონ ოჩამჩირის ნორჩ-ტექნიკოსთა სადგურისათვის იმ ბინის დაბრუნება, რომელიც ამჟამად

არადანიშნულებისამებრ არის გამოყენებული; ამხ. სიგუამ დაუ-
ყოვნებლივ გაანთავისუფლოს და დაუბრუნოს სოხუმის ნორჩ-ტექ-
ნიკოსთა სადგურს სამი ოთახი, რომელიც ამჟამად აფხაზეთის ასსრ
განათლების სამინისტროსა და „აფხაზვაჭრობას“ უჭირავთ.

გადაჭრით გააუმჯობესონ ნორჩ-ტექნიკოსთა სადგურებზე
ხელმძღვანელობის საქმე, შეუქმნან სადგურებს მუშაობისათვის
საჭირო მატერიალური და სასწავლო ტექნიკური პირობები, დასა-
ხონ ღონისძიებები მდგომარეობის გასაუმჯობესებლად, ხშირად
გამოიკვლიონ სადგურების მუშაობა, დაეხმარონ წრეების დაკომ-
პლექტებაში და განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ საშუალო
სკოლებსა და ნორჩ-ტექნიკოსთა სადგურებს შორის მტკიცე კავში-
რის დამყარებას.

4. წინადადება მიეცეს აფხაზეთის ასსრ განათლების მინისტრს
ამხ. სიგუას გაანთავისუფლოს სამუშაოდან სოხუმის ნორჩ-ტექნი-
კოსთა სადგურის დირექტორი მელიტონ კოპალიანი, რომელსაც
სპეციალური ტექნიკური განათლების უქონლობის გამო არ შეუძ-
ლია უხელმძღვანელოს სადგურის მუშაობას.

დაწყებითი და საშუალო სკოლების სამმართველომ პირველ აგ-
ვისტომდე შეამოწმოს ამ ბრძანების შესრულება და შედეგი მომახ-
სენოს მე.

საქართველოს სსრ განათლების მინისტრის მოადგილე

მ. ბურჯულაძე

მშრომელთა დეპუტატების ქუთაისის საბჭოს სახ. განათლების განყოფილების გამგეს

ქუთაისის პიონერთა სახლის მუშაობის გამოკვლევის შედეგების შესახებ

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს დაწყებითი და
საშუალო სკოლის სამმართველოს ინსპექტორის ალექსი დონაძის
მიერ ქუთაისის პიონერთა სახლის გამოკვლევის შედეგად წარმოდ-
გენილი მასალების მიხედვით დადასტურებულია, რომ საგრძნობ-
ლად გაუმჯობესებულია და გარდაქმნილი ქუთაისის პიონერთა

სახლის მუშაობა: განმტკიცებულია მატერიალური და სასწავლო-ტექნიკური ბაზა, პიონერთა სახლს დაუბრუნდა ომამდე ნაქირავები ორსართულიანი ქვის შენობა 14 ოთახით, რაც საგსებით უზრუნველჰყოფს არსებული სექტორებისა და წრეების ნორმალურ მუშაობას, მნიშვნელოვნად გაზრდილია ადმინისტრაციულ-ტექნიკური და პედაგოგიური პერსონალის შტატი, ძირითადად სწორად არის ჩამოყალიბებული და დაკომპლექტებული წრეები, მოწყობილია ბუნებისმეტყველების, გეოგრაფიისა და სამხედრო კაბინეტები, დაწყებულია ტურისტულ-ალპინისტური და სამხატვრო კაბინეტების მოწყობა; ფართოდ არის გამოყენებული სკოლისგარეშე საწრეო მუშაობის ფორმები და მეთოდები და მნიშვნელოვნად გამდიდრებულია წრეების მუშაობის შინაარსი, მეცნიერების სექტორის მიერ ადგილობრივი და მოწვეული კვალიფიციური ლექტორების საშუალებით ჩატარებულია პოპულარული მეცნიერული ხასიათის მოხსენება-საუბრები (ადამიანის წარმოშობის ისტორია, დარვინის ცხოვრება და მოღვაწეობა, დავით აღმაშენებელი, მაქსიმ გორკი—დიდი პროლეტარული მწერალი და სხვ.). ამავე სექტორის წრის წევრებმა მონაწილეობა მიიღეს თბილისის ამხ. ლ. პ. ბერიას სახელობის პიონერთა და ოქტომბრელთა სასახლის მიერ ჩატარებულ მოსწავლეთა მეორე რესპუბლიკურ დაუსწრებელ სამეცნიერო კონფერენციაში და ექვსი ავტორის (ისტორიიდან—2, ლიტერატურიდან—2, გეოგრაფიიდან—1, ქიმიიდან—1) ნაშრომები მოწონებული იყო და პრემირებული. მხატვრული აღზრდის სექტორმა ჩაატარა წრის წევრთა შეხვედრა ქუთაისში მომუშავე მწერლებთან ,გამოავლინა წრის წევრი ნორჩი ავტორები და მოაწყო ნორჩ-შემოქმედთა საღამო: ამავე სექტორმა მოაწყო საბავშვო მწერალ გაიდარისა და დიდ რუს დემოკრატ-პოეტის — ნეკრასოვისადმი მიძღვნილი საღამოები;

ნორჩ-ალპინისტთა წრემ 1946 წელს ივლის-აგვისტოში მოაწყო მაღალმთიანი ტურისტულ-ალპინისტური ლაშქრობა მარშრუტით: რაჭა-ზემოსვანეთი, ქვემო-სვანეთი—ლეჩხუმი, ლაშქრობის მონაწილე 30 მოსწავლემ ფეხით გაიარა 187 კილომეტრი. ლაშქრობის მონაწილეებმა შეაგროვეს მცენარეთა ჰერბარიუმები (350 სხვადასხვა სახის), მინერალებისა და ქანების კოლექციები, ხალხური ზეპირსიტყვიერების ნიმუშები; ლაშქრობის მონაწილეები გაეცნენ

ადგილობრივი ყოფაცხოვრების პირობებს, ისტორიულ ძეგლებსა და სხვა. ლაშქრობის მასალები დამუშავდა პიონერთა სახლში და მოეწყო ლაშქრობის შედეგებისადმი მიძღვნილი საღამო, რომელზედაც ჩატარდა მოხსენებები: „მთის რაჭა“ (მომხს. III ქალთა საშუალო სკოლის მე-11 კლასის მოსწავლე ეკატერინე ნიკოლაძე), „თავისუფალი სვანეთი“ (მომხს. III ქალთა საშუალო სკოლის მე-11 კლასის მოსწავლე ე. ჟორჟოლიანი), ნორჩმა გეოგრაფებმა დაამზადეს ლაშქრობის რუკა და სხვა. მშობლიური მხარის შესწავლის მიზნით, ნორჩი ალპინისტები, ნორჩი გეოგრაფები და ნატურალისტები სპეციალური ცხრილის მიხედვით ატარებენ ადგილობრივი მნიშვნელობის ექსკურსიებს (სათაფლიას გამოქვაბული, გელათის მონასტერი, ნაგარევის გამოქვაბული, ხვამლის მთა და წყალ-წითელას ხეობა).

ნაყოფიერად მუშაობდნენ ხელსაქმისა და ნორჩ-მხატვართა წრეები (ხელმძღვანელი—გურეშიძე, ტოგონიძე) მხატვრობის დარგში ბავშვთა ნიჭისა და შემოქმედებითი უნარის ზრდის მაჩვენებელი საუკეთესო ნამუშევრები (მოსწავლე მიმინოშვილი) აქვს ნორჩ მხატვართა წრეს.

სახლს აქვს შინაგანაწესი, წრეების მუშაობის ცხრილი და მოწესრიგებულია ადმინისტრაციულ-ტექნიკური პერსონალის და წრეების ხელმძღვანელ-მასწავლებელთა ყოველდღიური სასწავლო-პრაქტიკული საქმიანობა.

მიუხედავად ამისა ქუთაისის პიონერთა სახლის მუშაობაში ადგილი აქვს მნიშვნელოვან ნაკლოვანებებს:

ა) პ/სახლის წრეების მუშაობაში ქ. ქუთაისის ზოგიერთი სკოლიდან და კლასიდან არიან ჩაბმული და ისიც მცირე რაოდენობით. (მაგ. მე-5 ქალთა საშუალო სკოლიდან ჩაბმულია 6 მოსწავლე, მე-12 ქალთა საშუალო სკოლიდან—4, 1-ლ ვაჟთა საშუალოდან—2, მე-6 ვაჟთა საშუალოდან—3, მე-12 ვაჟთა საშუალოდან—3, მე-3 კლასის მოსწავლე—5, მე-4 კლასის—7, და მე-9 კლასის—2; და ა. შ.

ბ) წრეების დაკომპლექტებისას არ ექცევა სათანადო ყურადღება მოსწავლეთა ნიჭს, უნარს და მიდრეკილებას, ამის გამო წრეებში ჩაბმულია სკოლაში აკადემიურად ჩამორჩენილი ბევრი მოსწავლე. მაგ., მე-2 ვაჟთა საშუალო სკოლიდან სახლის წრეებში ჩაბმული 11 მოსწავლე ვერ ასწრებს, მე-7 ქალთა საშუალო სკოლიდან

—2 და ა. შ. აკადემიურად ჩამორჩენილი არიან უმთავრესად მოსიმღერეთა, მოცეკვავეთა და ფიზკულტურულ წრეებში გაერთიანებული მოსწავლეები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

არ არის დიფერენცირებული დაწყებითი მაღალი ტიპისა, თემატური და თავისუფალი თემების ჯგუფები; ჯგუფებად დაყოფა მხოლოდ ტექნიკური თვალსაზრისით არის მომხდარი; ზოგიერთ წრეში მხოლოდ ერთი და იგივე კლასის მოსწავლეები არიან გაერთიანებულნი. მაგ., გეოგრაფიის წრეში მხოლოდ მე-7 კლასის მოსწავლეები არიან ჩაბმულნი.

გ) არ არის მოწესრიგებული წრეებში გაერთიანებულ ბავშვთა აღრიცხვა, დაუზუსტებელია აგრეთვე წრეში წინად და ახლად მიღებულთა რაოდენობა, ადგილი აქვს ძველი და ახალი წევრების ერთ წრეში გაერთიანებას;

ადგილი აქვს უმართებულო სტრუქტურულ გადაადგილებას. მაგ. ნორჩ ალპინისტთა წრე სამხედრო-ფიზკულტურული სექტორის ნაცვლად მეცნიერებისა და ტექნიკის სექტორშია მოქცეული— ასევე ხელსაქმის და ჭრა-კერვის წრე პოლიტ-აღმზრდელობითი მუშაობის სექტორში, მეცნიერებისა და ტექნიკის სექტორში კი არც ერთი ტექნიკური ხასიათის წრე არ არის ჩამოყალიბებული;

დ) რიგი წრეების (დრამატიული, მხატვრული კითხვის) მუშაობას არ აქვს სისტემატური და თანმიმდევრული ხასიათი და ეს წრეები ერთდროული მასობრივი ღონისძიებების (მხატვრული საღამოები, შეხვედრები და სხვ.) ჩატარებით კმაყოფილდებიან;

ე) მეცადინეობის ცხრილი მხოლოდ წრეებისათვის არის შედგენილი და წრის სხვადასხვა ჯგუფებისათვის ცალკე დრო არ არის დადგენილი, რის გამოც ადგილი აქვს ჯგუფების მუშაობის დამთხვევას. მეცადინეობის რაოდენობა და ხანგრძლივობა არ არის ერთნაირი, რიგ წრეებში (ლიტერატურის, ტურისტულ-ალპინისტური, მოცეკვავეთა, მომღერალთა, ფოტომოყვარულთა) მეცადინეობა კვირაში 3-4-ჯერ სწარმოებს, ხოლო ხელსაქმისა და ჭრა-კერვის, მოცეკვავეთა, გეოგრაფიისა და ნორჩ-მხატვართა წრეებში მეცადინეობის ხანგრძლივობა სამი საათით განისაზღვრება;

ვ) სახლის საერთო და წრეების სამუშაო გეგმები არ არის აგებული ჟურნალების „ზვეზდასა“ და „ლენინგრადის“ შესახებ საკ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილებისა და ამხ. ჟდა-

ნოვის მოხსენებაში ნაჩვენებ მითითებათა მიხედვით, რის გამო ბავშვთა იდეურ-პოლიტიკური აღზრდის საკითხებს შედარებით ნაკლები ადგილი აქვს დათმობილი. პოლიტ-აღმზრდელობითი მუშაობის სექტორი, რომელიც ამ მუშაობას უნდა წარმართავდეს, ჯერ-კიდევ თავს ვერ ართმევს ამ ამოცანას. არც ერთი საჯარო მოხსენება ან საუბარი იდეურ-პოლიტიკური ხასიათის საკითხზე სექტორს არ ჩაუტარებია; ამავე სექტორის პიონერ-აქტივის ოთახის სამუშაო გეგმაში მხოლოდ ტექნიკური ხასიათის საკითხებია გათვალისწინებული (კედლის გაზეთის გაფორმება, წრეებში გაერთიანებულ მოსწავლეთა აღრიცხვა, ლოზუნგების შედგენა და სხვ.) და ზოგადად არის აღნიშნული პიონერ-მოსწავლეებთან აღმზრდელობითი ხასიათის საუბრების ჩატარების შესახებ (თემა, დრო არ არის აღნიშნული).

თ) ზოგიერთი წრის სამუშაო გეგმები არ არის შედგენილი სკოლის გარეშე საბავშვო დაწესებულებათა წრეებისათვის დამტკიცებული პროგრამების მიხედვით, ამიტომ ამ წრეების თემატიკა და მუშაობის შინაარსი არ უპასუხებს კლასგარეშე მუშაობის ამოცანებს, აკლია იდეურ-მეცნიერული სიღრმე, თანამედროვეობასთან კავშირი და პოლიტიკური სიმახვილე. მაგალითად, მხატვრული აღზრდის სექტორის (ხელმძღვანელი გვეტაძე) ლიტერატურისა და მხატვრულ წრეში გათვალისწინებულია საკითხები; საუბარი ლიტერატურისა და მხატვრული წრის ამოცანების მუშაობის მეთოდების შესახებ. ნორჩ ავტორებთან მუშაობა, ნორჩი ავტორების ნაწარმოების (გაურკვეველია ვისი) კითხვა-განხილვა და სხვ. გეგმაში გათვალისწინებულია ნ. ბარათაშვილის და მაშაშვილის ცხოვრება და შემოქმედების შესწავლა, მაგრამ საამისო სამუშაო პროგრამა არ არის. ნორჩდეკლამატორებთან მუშაობის შესახებ მათი მომზადებაა აღნიშნული, თემატიკა კი არ არის შერჩეული და დამტკიცებული. მეცნიერებისა და ტექნიკის სექტორის გეგმაში სასკოლო სასწავლო პროგრამის საკითხებია გათვალისწინებული „საქართველოს ფიზიკურ-გეოგრაფიული მიმოხილვა", — „სსრკ წიაღისეული სიმდიდრეები",) რომელთა შესახებ მოხსენების ჩატარება თითონ წრის ხელმძღვანელს აქვს დაკისრებული. გეგმაში არ არის გათვალისწინებული მეოთხე ხუთწლედის საკითხების, გამოჩენილ მკვლევართა და მოგზაურთა ცხოვრებისა და მოღვაწეო-

ბის შესწავლა და პრაქტიკული სამუშაოები (გეგმისა და რუკის შედგენა, თვალზომვითი აგეგმვა, გარემოში ორიენტაციის სამუშალებანი და სხვ.).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნორჩ-ნატურალისტთა სამუშაო გეგმაში გათვალისწინებულია საკითხი „ფლორა ლეჩხუმ-სვანეთის მხარეში სხვადასხვა სიმაღლის ზონებზე", მაშინ როდესაც ადგილობრივი ფლორისა და ფაუნის შესწავლა მხოლოდ ქუთაისის გარეუბანში გავრცელებული ლობიოს ჯიშების შეგროვებითა და სიმინდის თესლის განვითარების სხვადასხვა საფეხურების ჰერბარიუმის შედგენით არის განსაზღვრული; სამხედრო-ფიზკულტურული სექტორის ნორჩ-მსროლელთა წრეში, რომელშიაც მე-5-6 კლასის მოსწავლეები არიან გაერთიანებულნი, შაშხანის მატერიალური ნაწილებისა და დანიშნულების შესწავლა და სროლაში პრაქტიკული ვარჯიშობა არის გათვალისწინებული, მაშინ როდესაც მე-5-6 კლასებში სამხედრო საქმე სრულებით არ ისწავლება (მსგავსი მუშაობა ბავშვთათვის ნაადრევი და უსარგებლო სპეციალიზაციაა). გეგმაში არ არის გათვალისწინებული სამხედრო თამაშობების შესწავლა, მოხსენებები სამხედრო და სამხედრო ისტორიულ თემებზე. შეჯიბრებებისა და სამხედრო ლაშქრობების მოწყობა და სხვ. სამუშაო გეგმები არ აქვს ფოტომოყვარულთა და დრამატიულ წრეებს.

ი) წრეებში ჩატარებული მუშაობის მასალები (მოხსენებები, გეგმა-კონსპექტები, საღამო-შეხვედრების პროგრამა და სხვ.) არ არის დაცული, ამიტომ არ შეიძლება წარმოდგენა ვიქონიოთ დამუშავებული მოხსენებებისა და შესწავლილი თემების შინაარსსა და ხარისხზე. საღრიცხვო ჟურნალის ჩანაწერები ჩატარებული სასწავლო-პრაქტიკული მუშაობის შესახებ არ არის თანმიმდევრული, ზოგჯერ იგი ნაჩქარევია და ზერელე;

კ) ჯერ კიდევ სუსტია შინაგანი კონტროლი და ხელმძღვანელობა წრეების მუშაობაზე, როგორც დირექტორისა და მისი მოადგილის, ისე სექტორების ხელმძღვანელების მხრივ;

ლ) ძალზე ღარიბია სახლის ბიბლიოთეკა, მისი წიგნადი ფონდი 1284 ეგზ. შეადგენს. სუსტია ბიბლიოთეკის გამგის მუშაობა მოსწავლეებში კლასგარეშე კითხვისადმი ინტერესის განვითარების მიმართულებით. მას არ აქვს შედგენილი კლასგარეშე საკითხავ წიგ-

ნების სარეკომენდაციო სია; არ ტარდება მკითხველთა შეკრებები და სხვ.

მ) ჯერ კიდევ მოუწყობელია ლიტერატურისა და ისტორიის კაბინეტები და პიონერთა აქტივის ოთახი:

ნ) მოუწყობელია საკლუბო დარბაზი და შეუძლებელია მისი გამოყენება საჯარო სხდომებისა და შეკრებების ჩასატარებლად.

არსებული ნაკლოვანებების აღმოსაფხვრელად და მუშაობის იმგვარად გარდასაქმნელად, რომ პიონერთა სახლი ნამდვილად გახდეს სკოლისგარეშე მუშაობის კერა, საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს დაწყებითი და საშუალო სკოლის სამმართველო საჭიროდ სთვლის ქალაქ ქუთაისის სახალხო განათლების განყოფილებამ, პიონერთა სახლის დირექტორმა და ამავე სახლის სექტორების უფროსებმა და წრეების ხელმძღვანელებმა გაატარონ შემდეგი ღონისძიებები:

ა) პიონერთა სახლის დირექტორმა და მოადგილემ:

1. ქ. ქუთაისის განათლების განყოფილებასა და კომკავშირის საქალაქო კომიტეტთან შეთანხმებით სკოლების დირექტორებთან და პიონერ-ხელმძღვანელებთან ერთად შეისწავლონ და გამოავლინონ ქალაქის სკოლებში ნიჭიერი და უნარიანი ბავშვები, რომელთაც აქვთ ლიტერატურისა, მეცნიერებისა და ხელოვნების სხვადასხვა დარგში დამოუკიდებელი შემოქმედებითი მუშაობისადმი მიდრეკილება ,ამჟღავნებენ კლასგარეშე სამეცნიერო ტექნიკურ წრეებში მუშაობისადმი ინტერესს და ჩააბან ისინი შესაბამ წრეებში;

2. შეადგინონ წრის წევრ-მოსწავლეთა სახელობითი სია, პირადი ბარათები და საქმეები იმ ფორმის მიხედვით, როგორც ეს სკოლისგარეშე საბავშვო დაწესებულებებისათვის არის დაწესებული;

3. იმგვარად დააკომპლექტონ წრეები, რომ იგი შეესაბამებოდეს მოსწავლის მომზადებასა და ცოდნას, უპასუხებდეს მის ინტერესს და საშუალებას აძლევდეს ფართოდ გაშალოს თავისი ნიჭი და უნარი:

4. ჩამოაყალიბონ დამწყებთა, თემატური და თავისუფალი თემების წრეები, რომლებიც სხვადასხვა პროგრამით იმუშავებენ;

5. შემოიღონ, როგორც წესი, მომდევნო უფრო მაღალი ტიპის წრეში მოსწავლეთა გადარიცხვა მხოლოდ იმის შემდეგ, რაც გავლილი ექნება დაბალი ტიპის წრის პროგრამა და არ დაუშვან შემ-

დეგში სახლის სხვადასხვა წრეების ძველ და ახალ წევრთა ერთ ჯგუფში გაერთიანება;

6. შეადგინონ წრეების მუშაობის ახალი ცხრილი, რომელიც შეფარდებული იქნება ქალაქის სკოლების მუშაობასთან, იმგვარად, რომ მოსწავლეები, რომლებიც სკოლაში დილის წყებაში მეცადინეობენ ა) სახლის წრეში სამუშაოდ მოვლენ 4 საათიდან, ხოლო საღამოს წყებაში მომეცადინენი დილის 10 საათიდან. დააწესონ წრეების სავალდებულო მუშაობა კვირაში ორჯერ ორ-ორი აკადემიური საათის ხანგრძლივობით; წრეების მუშაობის ცხრილი შეუთანხმონ და დაამტკიცებინონ განათლების განყოფილებას;

7. სექტორების და წრეების ხელმძღვანელებთან ერთად გადასინჯონ წრეების სამუშაო გეგმები იმ მიმართულებით, რომ იგი უპასუხებდეს ჟურნალების „ზვეზდასა" და „ლენინგრადის" შესახებ საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილებას ახალგაზრდობის იდეურ-პოლიტიკური დონის ამაღლებისა და კომუნისტურად აღზრდის ამოცანების შესახებ.

8. პოლიტ-აღმზრდელობითი მუშაობის სექტორის სათანადო სიმაღლეზე დაყენების მიზნით:

ა) ხუთი დღის ვადაში დააკომპლექტონ სექტორის წრე და მოაწყონ პიონერთა აქტივის ოთახი;

ბ) სექტორისა და წრის ხელმძღვანელებად შეარჩიონ ისეთი მუშაკები, რომელთაც პიონერთა და მოსწავლეთა შორის მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის გამოცდილება აქვთ და დაამტკიცებინონ ისინი განათლების განყოფილებასა და კომკავშირის საქალაქო კომიტეტს;

გ) მეტი ყურადღება მიაქციონ იდეურ-პოლიტიკურ, სამეცნიერო და კულტურულ-საგანმანათლებლო პროპაგანდას წრის წევრ-მოსწავლეთა შორის; კომკავშირის საქალაქო კომიტეტებთან ერთად შეადგინონ საჯარო მოხსენებების და საუბრების თემატიკა და ჩატარების გეგმა, განათლების განყოფილების მეშვეობით გააცნონ იგი სკოლებს და უზრუნველჰყონ წრის არაწევრ-მოსწავლეთა დასწრებაც;

დ) კომკავშირის საქალაქო კომიტეტთან ერთად შეადგინონ სკოლების პიონერხელმძღვანელებთან ჩასატარებელ კონსულტაციებისა და მოხსენებათა თემატიკა;

9. გაატარონ შემდეგი სახის სტრუქტურული ცვლილებები:

ა) ხელსაქმისა და ჭრა-კერვის წრე მოაწყონ სამეცნიერო-ტექნიკურ სექტორთან, ხოლო სამეცნიერო ტექნიკურ სექტორთან არსებული ნორჩ-ალპინისტთა წრე სამხედრო-ფიზკულტურულ სექტორთან;

ბ) ნორჩ-მსროლელთა წრის ნაცვლად სამხედრო-ფიზკულტურულ სექტორთან მოაწყონ სამხედრო-ტექნიკურ თამაშობათა წრე, რომლის სამუშაო გეგმაში გათვალისწინებულ იქნას სამხედრო თამაშობების შესწავლა, მოხსენებების ჩატარება სამხედრო და სამხედრო-ისტორიულ თემებზე, შეჯიბრებებისა და სამხედრო ლაშქრობების მოწყობა და სხვ.;

გ) სამეცნიერო-ტექნიკურ სექტორთან მოაწყონ ფიზიკის წრე.

10. სკოლებთან უფრო დაახლოების მიზნით მოაწყონ მასობრივ ღონისძიებათა (მოხსენებები, საუბრები, დილა-საღამოები) გადატანა სკოლებში და იმავე დროს ცალკეული სკოლების საგნობრივი წრეების ნამუშევრების გადმოტანა პიონერთა სახლის შესაბამ წრეებსა და საჯარო შეკრებებზე;

11. გადამჭრელი ზომები მიიღონ ლიტერატურისა და ისტორიის კაბინეტების მოსაწყობად და გეოგრაფიის, ბუნებისმეტყველების, ტურისტულ-ალპინისტური და სამხედრო კაბინეტების შესავსებად საჭირო მასალებითა და ხელსაწყო-იარაღებით, ერთი თვის ვადაში სათანადოდ მოაწყონ კლუბი და უზრუნველჰყონ მისი გამოყენება შეკრებებისა და საჯარო მოხსენებათა ჩასატარებლად; შეავსონ ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი საბავშვო-მხატვრული და სამეცნიერო პოპულარული ლიტერატურით;

12. სისტემატურად შეამოწმონ სექტორებისა და წრეების მუშაობა, პერიოდულად მოისმინონ საბჭოს სხდომაზე წრეების ხელმძღვანელთა მოხსენებები ჩატარებული მუშაობის შესახებ და დასახონ საჭირო ღონისძიებები.

ბ) სექტორებისა და წრეების ხელმძღვანელებმა:

1. წრეების ახალი სამუშაო გეგმების შედგენისას ყურადღება მიაქციონ იმას, რომ გეგმები შედგენილი იყოს სკოლისგარეშე საბავშვო დაწესებულებათა წრეებისათვის დამტკიცებული პროგრამების მიხედვით და არ წარმოადგენდეს სასწავლო პროგრამების განმეორებას;

2. ფართოდ დანერგონ მასიური მუშაობის ფორმები, სახალისო და მიმზიდველი გახადონ მოსწავლეთათვის თეორიული მეცადინეობა და პრაქტიკული მუშაობა;

3. განსაკუთრებით ნიჭიერ მოსწავლეთათვის მოაწყონ ინდივიდუალური მეცადინეობა, საშუალება მისცენ მათ იმუშაონ თავისუფალ თემებზე და ყოველდღიური რჩევა-დარიგებით, მასალებსა და წყაროებზე მითითებით, ნამუშევრების შემოწმებათა და რეცენზიებით დაეხმარონ მათ აღებული თემის მაღალხარისხოვნად დამუშავებაში;

4. ლიტერატურული და მხატვრული კითხვის წრემ შეადგინოს მხატვრული კითხვის პროგრამა —მხატვრულად გამართული და იდეოლოგიურად მისაღები მასალების საფუძველზე;

5. გეოგრაფიის წრის პროგრამაში გაითვალისწინონ მეოთხე ხუთწლედის საკითხები, გამოჩენილ მკვლევართა და მოგზაურთა ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესწავლა, თვალსაჩინო პრაქტიკული სამუშაოები და მოხსენებათა მომზადება მოსწავლეების მიერ.

6. ნორჩ-ნატურალისტთა წრემ მეტი ადგილი დაუთმოს ადგილობრივი ფლორისა და ფაუნის შესწავლას, კოლექციებისა და ჰერბარიუმების შედგენას და თეორიული მოხსენებებს ბუნებისმეტყველების სხვადასხვა საკითხებზე;

7. ისტორიის, ლიტერატურის, გეოგრაფიისა და ბუნებისმეტყველების წრეების ხელმძღვანელებმა თავიანთი მუშაობა მჭიდროდ დაუკავშირონ მოსწავლეთა მესამე რესპუბლიკური დაუსწრებელი სამეცნიერო კონფერენციისათვის მზადებას, დაეხმარონ მოსწავლეებს თემების შერჩევაში, მიუჩინონ წყაროები და მასალები და სხვ.;

8. იქონიონ ჩატარებული სასწავლო-პრაქტიკული მუშაობის აღრიცხვა და მოსწავლეთა მიერ დამზადებული მოხსენებები, ნარკვევები, რეფერატები და სხვ. მასალები.

ბ) ბიბლიოთეკის გამგემ:

1. წრის ხელმძღვანელებთან ერთად შეიმუშაოს კლასგარეშე საკითხავ წიგნების სარეკომენდაციო სია;

2. პერიოდულად მოაწყოს მკითხველთა შეკრებები კლასგარე-

შე კითხვის შესამოწმებლად და წაკითხულის შესახებ შთაბეჭდილებათა გაზიარების მიზნით.

დ) ქ. ქუთაისის სახალხო განათლების განყოფილების გამგეს:

1. გააფრთხილოს სკოლების დირექტორები დაეხმარონ პიონერთა და მოსწავლეთა სახლის დირექციას დააკომპლექტოს წრეები ნიჭიერი და დამოუკიდებელი კლასგარეშე მუშაობისადმი მიდრეკილების მქონე მოსწავლეებით;

2. განიხილოს და დაამტკიცოს პიონერთა და მოსწავლეთა სახლის წრეების მუშაობის ცხრილი;

3. შეარჩიოს და დაამტკიცოს პოლიტ-აღმზრდელობითი სექტორისა და წრეების ხელმძღვანელებად პიონერთა და მოსწავლეთა შორის მასიური მუშაობის გამოცდილების მქონე მუშაკები;

4. დაეხმაროს პიონერთა და მოსწავლეთა სახლის დირექციას კაბინეტების მოწყობისა და წრეებისათვის საჭირო მასალების შეძენის საქმეში;

5. პირადად და ინსპექტორების საშუალებით პერიოდულად გამოიკვლიოს პიონერთა და მოსწავლეთა სახლის მუშაობა და დასახოს ღონისძიებები მდგომარეობის გასაუმჯობესებლად;

6. ეს მითითებები განიხილოს პიონერთა და მოსწავლეთა სახლის საბჭოს სხდომაზე და მის საფუძველზე დასახოს ღონისძიებები მუშაობის გასაუმჯობესებლად.

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს დაწყებითი და საშუალო სკოლის სამმართველოს უფროსი უშ. ოგოლაძე

სკოლისგარეშე მუშაობის სექტორის უფროსი ქ. დარსალია

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა № 823

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსადმი

1947 წ. 4 მაისი.

უმაღლეს პედაგოგიურ სასწავლებლებში დაუწყრე ბელთა ზაფხულის სესიების ჩატარების შესახებ

დაუსწრებელ პედაგოგიურ სწავლაში იმ მასწავლებელთა კონტინგენტის ჩასაბმელად, რომელთაც სავალდებულო საგანათლებო ცენზი არა აქვთ და დღემდე დარჩენილი არიან დაუსწრებე-

ლი სწავლის გარეშე, აგრეთვე დაუსწრებელთა ზაფხულის სესიების ორგანიზებულად ჩატარების უზრუნველსაყოფად **ვბრძანებ:**

1. განისაზღვროს 1947 წლისათვის უმაღლესი პედაგოგიური სასწავლებლების დაუსწრებელ განყოფილებებზე მისაღები კონტინგენტი 1.450 კაცის რაოდენობით.

2. შეწყდეს დაუსწრებელთა მიღება ი. გოგებაშვილის სახ. თელავის და ა. წერეთლის სახ. ზუგდიდის სამასწავლებლო ინსტიტუტის დაუსწრებელ განყოფილებებზე;

3. განცხადებების მიღება დაიწყოს ა. წ. 5 მაისიდან და გაგრძელდეს 15 ივნისამდე; მისაღები გამოცდები და ჩარიცხვა ჩატარდეს 16 ივნისიდან 24 ივნისამდე, სესიები ყველა პედაგოგიურ უმაღლეს სასწავლებელში და სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაუსწრებელ განყოფილებებზე—25 ივნისიდან 30 ივლისამდე, ხოლო სახელმწიფო გამოცდები—1 ივნისიდან 30 ივნისამდე.

4. უმაღლესი პედაგოგიური სასწავლებლების დირექტორებმა და დაუსწრებელი სწავლის დარგში მათმა მოადგილეებმა განუხრელად განახორციელონ შემდეგი ღონისძიებანი:

ა) მიღება ჩაატარონ მისაღები გამოცდებისათვის დადგენილი წესების საფუძველზე;

ბ) გამოცდებზე დაშვებამდე გულდასმით შეამოწმონ დაუსწრებელ სწავლაში ჩასაბმელთა საბუთების სისწორე და სისრულე, ხოლო გამოცდების დროს მათი ცოდნა, რათა უზრუნველყოფილ იქნას დაუსწრებელ განყოფილებათა დაკომპლექტება სათანადო მომზადების მქონე მასწავლებლებით, ამასთან არავითარ შემთხვევაში არ დაუშვან ლიბერალიზმი გამოსაცდელთა ცოდნის შეფასებისას;

გ) დროულად გამოაქვეყნონ პრესისა და რადიოგადაცემათა საშუალებით და ინდივიდუალურად აცნობონ დაუსწრებლებს ზაფხულის სესიების ვადები, გაუგზავნონ სახელმწიფო გამოცდების, ლექციების, პრაქტიკული და ლაბორატორული მეცადინეობის, კონსულტაციებისა და ჩათვლა-გამოცდების ცხრილები, სასწავლო გეგმების ამონაბეჭდები ჩასაბარებელი საგნების შესახებ და მოითხოვონ საკონტროლო სამუშაოთა შესრულება;

დ) გააფრთხილონ აკადემიური დავალიანების მქონე დაუსწრე-

ბელნი, რომ ისინი ვალდებულნი არიან მომავალ სესიაზე მოახდინონ აკადემიური დავალიანების სრული ლიკვიდაცია;

ე) ზუსტად აღრიცხონ დაუსწრებელთა სესიებზე გამოცხადება-დასწრება, აკადემიური წარმატება და დაუყოვნებლივ აცნობონ სათანადო განათლების განყოფილებებს იმ დაუსწრებელთა ვინაობა, რომელნიც არ გამოცხადდებიან სესიებზე;

ვ) მოაწყონ დაუსწრებელთათვის სესიების პერიოდში მტკიცე ცხრილის მიხედვით კონსულტაციები და ყოველგვარად შეუწყონ ხელი ცალკეული დისციპლინების ძირითად საკითხებში მათი ცოდნის გაღრმავებას;

ზ) არ დაუშვან გამოცდებზე ის დაუსწრებელნი, რომელნიც გამოცდებამდე სრულად არ წარმოადგენენ სავალდებულო საკონტროლო სამუშაოებს;

თ) უზრუნველჰყონ დაუსწრებელნი არსებული პროგრამებით, მეთოდური მითითებებით, სახელმძღვანელოებით და დამხმარე ლიტერატურით;

ი) გააფრთხილონ პროფესორ-მასწავლებელთა შემადგენლობა, რომ გამოცდების დროს მათ გულდასმით უნდა შეამოწმონ დაუსწრებელთა ცოდნა, განსაკუთრებით სპეციალურ დისციპლინებში, მოსთხოვონ ცოდნა არა კონსპექტების მიხედვით, არამედ შესაბამი დისციპლინების არსებული სახელმძღვანელოების დამხმარე ლიტერატურისა და პროგრამების მიხედვით;

კ) იმ დაუსწრებელთა შესახებ, რომელთაც ზაფხულის სესიების დასასრულს სასწავლო გეგმით გათვალისწინებული სავალდებულო საგნებიდან ორზე მეტი საგანი დარჩებათ ჩაუბარებელი, წარუდგინოს უმაღლესი სკოლის სამმართველოს ცნობა დახასიათებით დაუსწრებელ განყოფილებაზე მათი შემდგომი პირობითი დატოვების საკითხის გადასაწყვეტად;

ლ) მიიღონ საჭირო ზომები დაუსწრებელთა შორის კულტურულ-მასობრივი მუშაობის გასაშლელად და მათთვის სათანადო საყოფაცხოვრებო პირობების შესაქმნელად;

მ) სესიების დამთავრებიდან 10 დღის ვადაში წარმოადგინონ ზუსტი, შემოწმებული ციფრობრივი მასალით დადასტურებული,

სქემის შესაბამისად შედგენილი დაწვრილებითი ანგარიში ზაფხულის სესიების შედეგების შესახებ, თანდართული ფორმების მიხედვით, ამასთან ანგარიში და მთელი ციფრობრივი მასალა ხელმოწერილი უნდა იყოს დირექტორის და დაუსწრებელი სწავლის დარგში მისი მოადგილის მიერ.

5. სახალხო განათლების ადგილობრივი ორგანოების ხელმძღვანელებმა:

ა) უზრუნველჰყონ დაუსწრებელთა დროულად და უკლებლივ გამოცხადება სესიებზე, ხოლო სესიების დამთავრების შემდეგ შეამოწმონ დაუსწრებელთა აკადემიური მუშაობის შედეგები და მიიღონ სათანადო ღონისძიებანი იმ პირთა მიმართ, რომელნიც უპასუხისმგებლო დამოკიდებულებას გამოიჩენენ დაუსწრებელი სწავლის გზით თავიანთი კვალიფიკაციის ამაღლებისადმი;

ბ) უახლოეს ხანში ჩაატარონ დაუსწრებელ სწავლაში ჩაბმულ და ჩასაბმელ მასწავლებელთა თათბირები დაუსწრებელი სწავლის მნიშვნელობისა და აკადემიური წარმატებისათვის საჭირო ღონისძიებათა საკითხებზე.

6. ვაფრთხილებ სახალხო განათლების ადგილობრივი ორგანოების ხელმძღვანელებს, რომ სესიების ჩატარებისადმი უყურადღებობის, უმოქმედობის და, მით უმეტეს, ხელის შეშლისათვის პასუხისგებაში იქნებიან მიცემული, როგორც უმნიშვნელოვანესი სახელმწიფოებრივი ღონისძიების ჩამშლელნი.

7. დაევალოს უმაღლესი სკოლის სამმართველოს:

ა) შეამოწმოს დაუსწრებელ განყოფილებათა მოსამზადებელი მუშაობისა და სესიების მიმდინარეობა, ხელმძღვანელობა და საჭირო დახმარება გაუწიოს სესიებისათვის სამზადისს;

ბ) დაუსწრებელი სწავლის სამეცნიერო-მეთოდური კაბინეტის მეშვეობით უზრუნველჰყოს სესიებამდე საჭირო პროგრამების და მეთოდურ მითითებათა გამოცემა;

გ) მიიღოს ზომები, რათა უზრუნველყოფილ იქნან დაუსწრებელი სტუდენტები საგამოცდო სესიებისა და სახელმწიფო გამოცდების ჩაბარების პერიოდში სასურსათო საქონლით იმ ნორმების მიხედვით, რაც დაწესებულია მრეწველობის, ტრანსპორტისა და

კავშირგაბმულობის მუშაკთათვის და დამატებითი მეორე (ბურღულეული) ცხელი კერძით.

8. საგეგმო-საფინანსო სამმართველომ უზრუნველჰყოს სუბსიდიებისათვის საჭირო კრედიტების თავის დროზე გახსნა და სასესხო ღონისძიებათა დაფინანსება ბიუჯეტის მიხედვით.

საქართველოს სსრ განათლების მინისტრი ვ. კუპრაძე

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა № 821

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსადმი

1947 წ. 4 მაისი

მასწავლებელთა დაუსწრებელი სწავლების შესახებ

აღვნიშნავ, რომ დაუსწრებელ სწავლაში მასწავლებელთა მასობრივმა ჩაბმამ საგრძნობლად შეუწყო ხელი მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლებას; მათ მიერ თავისი პროფესიის დაუფლებას. ამ მხრივ კარგი შედეგები აქვთ ქუთაისისა და თბილისის პედაგოგიურ ინსტიტუტებს, რომელთაგან პირველში ჩაბმულია 1.082 კაცი, ხოლო შეორეში—1.773 კაცი.

ამასთანავე უნდა აღინიშნოს მნიშვნელოვანი ნაკლოვანებანი, რაც ჯერ კიდევ არ არის აღმოფხვრილი მასწავლებელთა დაუსწრებელი უმაღლესი განათლების საქმის ორგანიზაციაში. ჯეროვან ყურადღებას არ იჩენენ დაუსწრებელი სწავლისადმი ზოგიერთი ინსტიტუტის (სტალინირის, ბათუმის, გორის) დირექტორის მოადგილენი დაუსწრებელი სწავლის დარგში და სახალხო განათლების ადგილობრივი ორგანოს ხელმძღვანელნი (თბილისის, ქარელის, გორის, ბორჯომის, კასპის, ხულოს, ქედის, ქობულეთის, აბაშის, ლანჩხუთის, სამტრედიის და ცხაკაიას რაიონის განათლების განყოფილების გამგეები) ამის გამო დაუსწრებელთა სესიებზე გამოცხადება და აკადემიური წარმატება დამაკმაყოფილებელი ვერ არის. არის შემთხვევები, რომ ხელსაც კი უშლიან ასეთი დიდი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საქმეს, სკოლისგარეშე მუშაობისაგან განთავისუფლების ნაცვლად დაუსწრებელ სწავლაში ჩაბმულ მას-

წავლებლებს უფრო მეტად ტვირთავენ და ხშირად სესიებზე გამოცხადების საშუალებასაც არ აძლევენ.

ჩხოროწყუს რაიონის განათლების განყოფილებამ ერთ-ერთ სკოლის დირექტორს და 4 მასწავლებელს სესიების პერიოდში სასოფლო-სამეურნეო დავალებასთან დაკავშირებული სამუშაო დააკისრა; სტალინირის და ზნაურის რაიონის განათლების განყოფილებათა გამგეებმა გასულ ზაფხულს კონფერენციებსა და თათბირებზე დააკავეს დაუსწრებელ სწავლაში ჩაბმული მასწავლებლები და მხოლოდ პარტიის საოლქო კომიტეტის ჩარევის შემდეგ გაუშვეს სესიებზე. დაუსწრებელ განყოფილებათა დაკომპლექტების დროს ყურადღება არ ექცევა მისაღებ პირთა დოკუმენტებს, ხოლო გამოცდების დროს—მათი ცოდნის საფუძვლიანად შემოწმებას; გამონაკლის შემთხვევებს არ წარმოადგენს უსაბუთო და დაბალი ცოდნა-მომზადების მქონე პირთა მიღება; აღნიშნული განათლების განყოფილებანი ზომებს არ იღებენ დაუსწრებელ სწავლაში ჩასაბმელ მასწავლებელთა აღსარიცხავად, არ ასრულებენ სადირექტივო ორგანოების მიერ მიცემულ მითითებებს დაუსწრებელ სწავლაში ჩაბმულ მასწავლებელთათვის ხელის შეწყობის შესახებ, არ ამოწმებენ დაუსწრებელთა სესიებზე გამოცხადებას, მათ აკადემიურ მუშაობას; არის აგრეთვე გამოცდების დროს ლექტორების მხრივ სტუდენტთა ცოდნის შეფასებაში ლიბერალიზმის შემთხვევები (სტალინირის ინსტიტუტის ლექტორი ბ. ედელშტეინი) და სხვ.

დაუსწრებელი სწავლის საქმის უკეთ დაყენებისათვის **ვბრძანებ:**

1. დაევალოთ დაუსწრებელ განყოფილებებს:

ა) ცოცხალი და წერილობითი კავშირი იქონიონ სახალხო განათლების ადგილობრივ ორგანოებთან, სკოლებთან და პირადად დაუსწრებლებთან, მათთვის მუშაობაში ყოველმხრივ ხელშეწყობისა და სათანადო პირობების შექმნის მიზნით.

ბ) მუდამ საქმის კურსში ჰყავდეთ სახალხო განათლების შესაბამი განყოფილებანი დაუსწრებელთა სესიების მიმდინარეობის, საკონსულტაციო პუნქტებში და სესიებზე დაუსწრებელთა გამოცხადებისა და აკადემიური მუშაობის საკითხებზე;

გ) აცნობონ თითოეულ დაუსწრებელს, თუ რა საგნები აქვს

ჩასათვლელ-ჩასაბარებელი სასწავლო გეგმების მიხედვით, რა საკონტროლო სამუშაოები აქვს შესასრულებელი, და გააფრთხილონ, რომ ისინი ვალდებულნი არიან უახლოეს სესიებზე მოახდინონ აკადემიური დავალიანების სრული ლიკვიდაცია;

დ) გულდასმით შეამოწმონ დაუსწრებელთა საქმეები და გარიცხონ ის პირნი, რომელნიც ფაქტიურად ირიცხებიან დ/განყოფილებაზე და წლების განმავლობაში არ აბარებენ საგნებს, აგრეთვე ის პირნი, რომელთაც წარმოდგენილი არა აქვთ ყველა საბუთი და მასთან სათანადოდ გაფორმებული;

ე) გააფრთხილონ პროფესორ-მასწავლებლები, რომ სასესიო ჩათვლა-გამოცდებზე დაუსწრებელთა ცოდნის შემოწმებისას და დ/განყოფილებაზე მათი მიღების დროს არ დაუშვან ლიბერალიზმი და მოსთხოვონ მათ საფუძვლიანი ცოდნა;

ვ) მტკიცედ დაიცვან ახლად მისაღებ დაუსწრებელთა საბუთების შემოწმების წესი და არ დაუშვან გამოცდებზე არც ერთი პირი, რომელიც არ წარმოადგენს ყველა საჭირო საბუთს იმ სახით, როგორც დადგენილია არსებული წესით.

2. მიეთითოს სოხუმის, სტალინირის, გორის და ზუგდიდის დ/განყოფილებას გამოყოფილი სახელმძღვანელოებისა და პროგრამების დაგვიანებით წაღებისა და მათი ღირებულების დაგვიანებით გადახდის გამო.

3. გაფრთხილებულ იქნას ყველა ინსტიტუტის დ/განყოფილება, რომ მუშაობის ყოველგვარი ანგარიში შედგენილი უნდა იყოს დაწესებული ფორმისა და სქემის მიხედვით, ანგარიშში არ უნდა იყოს გამოტოვებული არც ერთი საკითხი, ციფრობრივი მასალა ზუსტი, შეჯამებული, შემოწმებული და თანმიმდევრობით დალაგებული უნდა იყოს სქემის შესაბამისად და წარმოდგენილ უნდა იქნას დადგენილ ვადაში.

4. მიეთითოს სტალინირის პედაგოგიურ ინსტიტუტის ლექტორს ბ. ედელშტეინს სტუდენტის ცოდნის შეფასებაში დაშვებული ლიბერალიზმისათვის.

5. დაევალოთ დეკანებს ხელმძღვანელობა გაუწიონ დაუსწრებელ განყოფილებათა ფაკულტეტებს სტაციონარის შესაბამი ფაკულტეტების თანაბრად და სისტემატურად განიხილონ დაუსწრე-

ბელ სწავლასთან დაკავშირებული სასწავლო მეთოდური და სხვა საკითხები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

6. დაევალოთ სახალხო განათლების ადგილობრივ ორგანოებს:

ა) ზუსტად დაიცვან „დაუსწრებელი პედაგოგიური განათლების სისტემის განმტკიცების ღონისძიებათა შესახებ“ არსებული დადგენილებანი;

ბ) განიხილონ მასწავლებელთა თათბირებსა და კონფერენციებზე დაუსწრებელი სწავლის საკითხები;

გ) გააფრთხილონ დაუსწრებელ სწავლაში ჩაბმული და ჩასაბმელი მასწავლებლები, რომ ისინი მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნებიან დატოვებული თანამდებობაზე, თუ სათანადო კვალიფიკაციას მიიღებენ დაუსწრებელი სწავლის გზით, წინააღმდეგ შემთხვევაში გადაყვანილ იქნებიან დაბალ თანამდებობაზე ან განთავისუფლებულ იქნებიან სრულიად;

დ) დაუყოვნებლივ შეუდგნენ დაუსწრებელ სწავლაში ჩაბმულ მასწავლებელთა ზუსტი სიების შედგენას, ა. წ. 20 მაისამდე წარმოადგინონ ამ სიების თითო ცალი უმაღლესი სკოლის სამმართველოში და შესაბამი ინსტიტუტის დაუსწრებელ განყოფილებაში და უზრუნველჰყონ სიებში აღნიშნულ მასწავლებელთა უკლებლივ გამოცხადება ზაფხულის სესიებზე;

ე) წელიწადში ორჯერ წარმოადგინონ უმაღლესი სკოლის სამმართველოს ანგარიში დაუსწრებელი სწავლის დარგში ჩატარებულ მუშაობისა და მისი შედეგების შესახებ.

7. დაევალოს სამინისტროს დაწყებითი და საშუალო სკოლების სამმართველოს ადგილობრივი ორგანოების მუშაობის გამოკვლევისას გამოარკვიონ აგრეთვე მათი მუშაობა დაუსწრებელ მასწავლებლებთან მუშაობის დარგში.

8. გამოეცხადოს საყვედური ჩხოროწყუს, სტალინირისა და ზნაურის რაიონის განათლების განყოფილებათა გამგეებს დაუსწრებელ სწავლაში ჩაბმულ მასწავლებელთა გამოცხადებაში ხელისშეშლისათვის.

9. დაევალოს მასწავლებელთა დაუსწრებელი სწავლის სამეცნიერო-მეთოდურ კაბინეტს განახორციელოს დებულებით დაკისრებული ღონისძიებანი, ა) დაამუშავოს დაუსწრებელი სწავლის მეთოდიკის საკითხები, ბ) მოაწყოს გამოცდილების გაზიარება დ/გან-

ყოფილებათა შორის, მუშაობის საუკეთესო ნიმუშების პოპულარიზაცია ბეჭდვითი სიტყვის მეშვეობით, გ) ჩაატაროს კონფერენციები და თათბირები დაუსწრებელი სწავლის და მეთოდურ და საორგანიზაციო საკითხებზე.

10. აღიძრას შუამდგომლობა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს წინაშე, რათა გაიხსნას საკონსულტაციო პუნქტები ათ რაიონულ ცენტრში.

11. მომარაგების სამმართველომ გამოჰყოს დაუსწრებელ განყოფილებათა საჭიროებისათვის საკმაო რაოდენობით ქაღალდი, ელნათურები, რვეულები და სხვ. სასწავლო ნივთები.

საქართველოს სსრ განათლების მინისტრის მოადგილე

მ. ბურჭულაძე

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა № 792

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსადმი

1947 წლის 28 აპრილი

მცხეთის, ქარელის, ლანჩხუთისა და ქუთაისის რაიონებში სახელმძღვანელო წიგნების განაწილებისა და მოსწავლეებამდე დაყვანის შესახებ

აღვნიშნავ, რომ ზოგიერთ რაიონში სახელმძღვანელო წიგნების მოსწავლეებამდე დაყვანის საქმეში დამაკმაყოფილებელი მდგომარეობაა. ქუთაისის რაიონის განათლების განყოფილება (განყოფილების გამგე ამხ. გ. შავგულიძე) სისტემატურ ხელმძღვანელობასა და კონტროლს უწევს სახელმძღვანელო წიგნების განაწილებასა და სკოლებამდე დაყვანის საქმეს, რის შედეგადაც მოსწავლეები წიგნებს დროულად ღებულობენ და ადგილი არა აქვს სავაჭრო წერტებში სახელმძღვანელო წიგნების ჩაწოლას.

ლანჩხუთის რაიონის განათლების განყოფილებაც ჯეროვან ყურადღებას აქცევს სახელმძღვანელო წიგნების სკოლებამდე დროულად მიტანის საქმეს, მიუხედავად ამისა რაიონის ზოგიერთ სავაჭრო წერტებში მაინც აღმოჩნდა ისეთი სახელმძღვანელო წიგ-

ნები, რომელთა ნაკლოვანებასაც სკოლები განიცდიან. მაგალითად, რაიკავშირის ნიგვზიანის მაღაზიაში აღმოჩნდა მე-9 კლასის 2 ცალი „ფიზიკის სახელმძღვანელო“, ლანჩხუთის სახელგამის მაღაზიაში „ქართული ლიტერატურის ქრესტომატია“ X კლასისა —11 ცალი, „დასავლეთ ევროპის ლიტერატურის ქრესტომატია“— 4 ცალი, „ძველი ქართული ლიტერატურის სახელმძღვანელო“—7 ცალი, „ქართული ლიტერატურა V კლასისა“—6 ცალი და ა. შ.

სახელმძღვანელო წიგნების განაწილებისა და მათი სკოლებამდე დაყვანის საქმეში ცუდი მდგომარეობაა მცხეთისა და ქარელის რაიონებში.

მცხეთის რაიკავშირის მაღაზიაში 10 აპრილისათვის გაუსაღებელი ეწყო ჯერ კიდევ სასწავლო წლის პირველ ნახევარში მიღებული 26 სახელწოდების 1.985 ცალი სახელმძღვანელო წიგნი, სახელდობრ: „ქართული ენა“ III - IV კლასებისა—385 ცალი, „დედა ენა“ II ნაწილი—235 ცალი, „ალგებრულ ამოცანათა კრებული“ II ნაწ.—108 ცალი, „ბუნებისმეტყველება“ IV კლასისა 89 ცალი, „ფიზიკა“ I ნაწილი — 135, „გერმანული ენის სახელმძღვანელო“ III ნაწ. — 65 ცალი, „დასავლეთ ევროპის ლიტერატურის ქრესტომათია“—45 ცალი და სხვ. ამავე დროს, მცხეთის რაიონის სკოლები აღნიშნული სახელმძღვანელო წიგნების დიდ დანაკლისს განიცდიან. ასე, მაგალითად, მარტო მისაქციელისა და მცხეთის საშუალო სკოლებში IV კლასის „ქართული ენის სახელმძღვანელო“—10 მოსწავლეს არ აქვს, IX კლასის „ძველი ქართული ლიტერატურა“—15 მოასწავლეს, XI კლასის „დასავლეთ ევროპის ლიტერატურის ქრესტომათია“—29 მოსწავლეს, „ფიზიკის ამოცანათა კრებული“—23 მოსწავლეს, „გერმანული ენის სახელმძღვანელო III ნაწ.“—33 მოსწავლეს, არაორგანული ქიმია“ — 8 მოსწავლეს და ა. შ.

მცხეთის რაიონისათვის განკუთვნილი სახელმძღვანელო წიგნები რომ ყველა ყოფილიყო დაყვანილი მოსწავლეებამდე, ის მაინც ვერ დააკმაყოფილებდა მოთხოვნილებას, რაც დასტურდება შემდეგი ცნობებით: საშუალო სკოლების IX, X, XI კლასების 348 მოსწავლეზე მიღებულია 130 ცალი „დასავლეთ ევროპის ლიტერატურის ქრესტომათია“, გაუსაღებელია—45 ცალი; III და IV კლასების 1.600 მოსწავლე—725 ცალი „ქართული ენის (გრამატიკის)

სახელმძღვანელო“, ამათგან მაღაზიაში ჩაწოლილია—235 ცალი; VI და VII კლასების 746 მოსწავლეზე—425 ცალი „ქართული ლიტერატურის ქრესტომათია“, გაუსაღებელია—34 ცალი და სხვ.

ქარელის რაიონის სკოლების 8.340 მოსწავლეზე მიმდინარე სასწავლო წლის დასაწყისიდან დღემდე რაიკავშირის მეშვეობით მიღებულია 21.157 ცალი სხვადასხვა სახის სახელმძღვანელო, ე. ი. თითო მოსწავლეზე 2,5 წიგნი. ა. წ. 10 აპრილს ქარელის რაიკავშირის საწყობსა, ქარელის ცენტრალურ მაღაზიასა და აგარის სოფლის კოოპერატივში გაუსაღებელი აღმოჩნდა 2.075 ცალი სხვადასხვა სახის ისეთი სახელმძღვანელო წიგნები, რაც მოსწავლეთა დიდ ნაწილს არ გააჩნია. ასე, მაგალითად, მარტო ქარელის საშუალო სკოლის IX - X კლასების 16 მოსწავლეს არ აქვს „ორგანული ქიმიის სახელმძღვანელო“, მაღაზიაში კი ეს სახელმძღვანელო 80 ცალია; III კლასის 14 მოსწავლეს არ აქვს „არითმეტიკის ამოცანათა კრებული“, მაღაზიაში კი 30 ცალია; IX კლასის 7 მოსწავლეს არ აქვს „ალგებრულ ამოცანათა კრებული“ II ნაწ., მაღაზიაში კი 31 ცალია; III - IV კლასების 21 მოსწავლეს არ აქვს „ქართული ენის გრამატიკა“, მაღაზიაში 215 ცალია, X კლასის 8 მოსწავლეს არ აქვს ფიზიკის სახელმძღვანელო ,მაღაზიაში 20 ცალია.

ქარელის საშუალო და ფციის რვაწლიანი სკოლების VIII კლასის 6 მოსწავლეს არ აქვს მშობლიური ლიტერატურის სახელმძღვანელო, მაშინ, როცა მაღაზიაში ეს სახელმძღვანელო 92 ცალია; ქარელის, აგარის საშუალო და ფციის რვაწლიანი სკოლების VIII - IX კლასების 37 მოსწავლეს არ აქვს „სსრკ ისტორია“, საწყობში კი 177 ცალია და ა. შ.

მცხეთისა და ქარელის რაიონებში ადგილი აქვს სახელმძღვანელო წიგნების დაგვიანებით განაწილებას და რეალური მოთხოვნილების გაუთვალისწინებლობას. ასე, მაგალითად, მცხეთის რაიკავშირში თებერვალში მიღებული სახელმძღვანელო წიგნები განათლების განყოფილებამ 17 მარტს გაანაწილა, ხოლო სკოლებს ეს წიგნები აპრილშიაც არ ჰქონდათ მიღებული. ამავე რაიონში მეორე კლასის 1.008 მოსწავლეზე მიღებული იქნა 800 ცალი „დედაენა“, განაწილდა კი 480 ცალი. ასეთივე მდგომარეობას აქვს ადგილი ქარელის რაიონშიაც.

სახელმძღვანელო წიგნების განაწილებისა და სკოლებზე დაყ-

ვანის საქმეში აღნიშნული ნაკლოვანებანი იმითაა გამოწვეული, რომ მცხეთისა და ქარელის რაიონების განათლების განყოფილებათა გამგეები უშუალოდ არ ხელმძღვანელობენ სახელმძღვანელო წიგნების განაწილებას; არ უწევენ სათანადო კონტროლს სახელმძღვანელო წიგნების მოსწავლეებამდე დროულად დაყვანის საქმეს და მათ ეს მეტად სერიოზული და საპასუხისმგებლო საქმე საგაჭრო წერტის მუშაკებს გადაანდვეს.

ვბრძანებ:

1. წინადადება მიეცეს ყველა ქალაქისა და რაიონის განათლების განყოფილებათა გამგეებს:

ა) პირადად უხელმძღვანელონ საგაჭრო მაღაზიებში მიღებული სახელმძღვანელო წიგნების დროულად განაწილებას; განაწილებული წიგნების შესახებ დაუყოვნებლივ აცნობონ სკოლის დირექტორებს (გამგეებს) და მიაღწიონ იმას, რომ მიღებული და განაწილებული წიგნები ორი დღის განმავლობაში იქნას დაყვანილი მოსწავლეებამდე; იმ სკოლების დირექტორების (გამგეების) მიმართ, რომლებიც ამ საქმეში დაუდევრობასა და უყურადღებობას გამოიჩენენ მიიღონ მკაცრი ზომები;

ბ) ყოველდღიური კონტროლის დაწესებით უზრუნველჰყონ სახელმძღვანელო წიგნების განიავების შემთხვევების აღმოფხვრა;

გ) სისტემატური კონტროლი გაუწიონ საგაჭრო წერტებიდან სახელმძღვანელო წიგნების განაწილების მიხედვით გაცემას.

2. დაწყებითი, რვაწლიანი და საშუალო სკოლების დირექტორებმა (გამგეებმა) პირადად უხელმძღვანელონ განათლების განყოფილებების მიერ სკოლებზე განაწილებული სახელმძღვანელო წიგნების მოსწავლეებამდე დროულად დაყვანის საქმეს.

3. ახლად მიღებული სახელმძღვანელო წიგნების დროულად გაუნაწილებლობისა და მათი მოსწავლეებამდე დაყვანის საქმეზე ხელმძღვანელობისა და კონტროლის გაუწევლობისათვის გამოეცხადოს საყვედური ქარელის რაიონის განათლების განყოფილების გამგეს დიმიტრი კონსტანტინეს-ძე ჭავჭანიძეს.

4. მიღებულ იქნას მხედველობაში, რომ მცხეთის რაიონში სახელმძღვანელო წიგნების განაწილების დარგში ზემოაღნიშნული ნაკლოვანებანი საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მიერ

ჩატარებული გამოკვლევის შემდეგ უკვე გამოსწორებულია. მრეთითოს მცხეთის რაიონის განათლების განყოფილების გამგეს ტიტე ბეგლარის-ძე მგალობლიშვილს, რომ მომავალში არ დაუშვას სახელმძღვანელო წიგნების განაწილების დარგში ზემოაღნიშნული ნაკლოვანებანი.

5. გაფრთხილებულ იქნას ყველა განათლების განყოფილებათა გამგე, რომ სახელმძღვანელო წიგნების დროულად გაუნაწილებლობისა და მათი სკოლებამდე დაუყვანლობის შემთხვევაში ისინი პირადად აგებენ პასუხს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს წინაშე.

6. დაევალოს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს დაწყებითი და საშუალო სკოლებისა და მომარაგების სამმართველოებს სისტემატურად შეამოწმონ ამ ბრძანების შესრულება და შედეგები მოახსენონ კოლეგიას.

საქართველოს სსრ განათლების მინისტრის მოადგილე

მ. ბურჯულაძე

მშრომელთა დეპუტატების ჩოხატაურის რაისაბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის სახალხო განათლების განყოფილების გამგეს

ჩოხატაურის რაიონის ჩოხატაურის, ხიდისთავის, დაბლაციხისა და საჭამიასერის საშუალო სკოლებში სასწავლო-სააღმზრდელო მუშაობის გამოკვლევის შედეგად საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს დაწყებითი და საშუალო სკოლის სამმართველოს ინსპექტორების ეგნ. ინგოროყვას და მ. დათიაშვილის მიერ წარდგენილი მასალებით დადასტურდა, რომ რაიონის განათლების განყოფილება (განყ. გამგე გრ. კალანდაძე), სკოლის დირექტორები ან. კალანდაძე, გრ. ბოცვაძე, მ. გოგიტიძე და მასწავლებელთა დიდი უმრავლესობა გაზრდილი პასუხისმგებლობით ეკიდებიან სასწავლო-სააღმზრდელო მუშაობის სწორად მოწესრიგება-წარმართვის საქმეს, რის შედეგადაც შესწავლილ სკოლებში მოპოებულია გარკვეული წარმატება.

აღნიშნული მასწავლებლები კარგად ფლობენ საგანსა და სწავლების მეთოდებს, ყოველი გაკვეთილისათვის ემზადებიან საფუძვლიანად, გაკვეთილს ატარებენ სწორად, სასწავლო მასალას მოსწავლეებს გადასცემენ თანმიმდევრულად, მიმზიდველად, მეცნიერული სიზუსტით, ნათლად და მოსწავლეთათვის მისაწვდომად; პროგრამული მასალის დამუშავებისას სათანადოდ ამახვილებენ ყურადღებას აღმზრდელობითი საკითხებზე, თვალსაჩინოებას იყენებენ სწორად და აღწევენ მოსწავლეთა მიერ სასწავლო მასალის შეგნებულად შეთვისებას და მათში საზოგადოებრივსა და ბუნების მოვლენებზე სწორი მეცნიერული შეხედულების გამომუშავებას.

აღნიშნულ სკოლებში კარგად არის მოწესრიგებული და გამოყენებული სასწავლო-მატერიალური ბაზა.

მცირე გამონაკლისის გარდა დამაკმაყოფილებლად არის მოწესრიგებული მეთოდური მუშაობა;

მიუხედავად ამისა ,აღნიშნული სკოლების სასწავლო-საალმზრდელო მუშაობაში ადგილი აქვს ზოგიერთ ნაკლოვანებებს:

1. ჩოხატაურის და ხიდისთავის საშუალო სკოლების პედაგოგიურ საბჭოს სხდომაზე არ არის განხილული ცალკე სასწავლო დისციპლინების სწავლების მდგომარეობა, გარდა გერმანული ენის სწავლების მდგომარეობისა.

2. საგნობრივი მეთოდური კომისიების სამუშაო გეგმაში უმთავრესად ზოგად მეთოდიკური ხასიათის საკითხების განხილვაა გათვალისწინებული და არ არის დასახული სკოლაში ამა თუ იმ სასწავლო დისციპლინის სწავლების მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის საჭირო ღონისძიებანი;

3. სკოლის საგნობრივი წრეების სამუშაო გეგმაში, მცირე გამონაკლისის გარდა, არ არის გათვალისწინებული ისეთი საკითხები ,რაც ხელს შეუწყობს მოსწავლეთა ცოდნის დონის ამაღლებასა და მათი საერთო განვითარების ჰორიზონტის გაფართოებას;

4. კლასის ხელმძღვანელთა სასწავლო-საალმზრდელო მუშაობის გეგმებში სჭარბობს ზოგადი საკითხები და ნაკლებად არის გათვალისწინებული სკოლისა და კლასის სპეციფიკურობის შესაბამისი საკითხები და ღონისძიებანი;

ზოგიერთი სასწავლო დისციპლინების სწავლების ხარისხი არადამაკმაყოფილებელია;

5. დაბლაციხის საშუალო სკოლის VII კლასის მოსწავლეების ცოდნის დონე გეოგრაფიაში მეტად დაბალია (მასწავლებელი ვ. ჯიქია). მოსწავლეებმა ვერ მოახერხეს სსრკ და საქართველოს სსრ ადმინისტრაციული ჩვენება რუკაზე, ვერ დაასახელეს საქართველოს სსრ მდინარეები, მთები, დაბლობები და ზეგნები, ვერ ჩამოთვალეს და ვერ აჩვენეს რუკაზე უზბეკეთის, ყაზახეთისა და თურქმენეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკები და საბჭოთა კავშირის ზღვები; არ აციან, რომ ქლუხორის რაიონის საქართველოს სსრ შემადგენლობაში შედის და სხვ.

6. ასევე, ცოდნის დაბალი დონე გამოამჟღავნეს ისტორიაში ამავე სკოლის მე-5 კლასის მოსწავლეებმა (მასწ. ვ. ჯიქია); მათ არ იციან ისტორიული ტერმინები. ფარაონი, ბეზილევსი, ვერ აღწერეს ძველი ეგვიპტის ბუნება, არ აქვთ ნათელი წარმოდგენა ბერძენ-სპარსელთა ომებზე, სოლონის რეფორმებზე, სპარტისა და ათენის სახელმწიფოებრივ წყობილებაზე და სხვ. მოსწავლეებს არ აქვთ გამომუშავებული მასალის დალაგებული თხრობით გადმოცემის უნარი. განვლილი მასალა მოსწავლეებს დავიწყებული აქვთ.

7. საჭამიასერის მე-9 კლასის მოსწავლეებმა არადამაკმაყოფილებლად იციან დარვინიზმის საფუძვლების პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო მასალა (მასწავლებელი მ. ქორიძე), მოსწავლეები კარგად არ არიან გარკვეული დარვინის მოძღვრების ძირითად დებულებებში, არადამაკმაყოფილებლად აქვთ შეთვისებული ორგანული სამყაროს შესწავლის ძირითადი მეთოდები, ბუნდოვანი წარმოდგენა აქვთ იმაზე, თუ როგორ მიმდინარეობდა არაორგანულ ნაერთებიდან პირველადი ცილოვანი ნივთიერების წარმოქმნა, ხოლო ამ უკანასკნელის განვითარების გზით პირველადი უჯრედოვანი სტრუქტურის წარმოება, ვერ ერკვევიან ბუნებრივი შერჩევის როლში პირველადი ორგანული ფორმების წარმოებაში; იციან ფრ. ენგელსის შეხედულება ამ საკითხებზე, მაგრამ არ შეუძლიათ ამ დებულების საფუძველზე დედამიწაზე სიცოცხლის წარმოშობის საკითხის ახსნა; ნათელი წარმოდგენა არ აქვთ სიცოცხლის წარმოშობის შესახებ არსებულ ჰიპოთეზებსა და თეორიებზე და სხვა;

8. განვლილი მასალის განმეორებას ცალკე შემთხვევებში არ აქვს მიქცეული ჯეროვანი ყურადღება, რის გამოც მოსწავლეთა გარკვეულ ნაწილს განვლილი მასალის ზოგიერთი ნაწილი გაგიწყებული აქვს;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩოხატაურის რაიონის აღნიშნულ სკოლებში სასწავლო-საალმზრდელო მუშაობის ხარისხის გაუმჯობესებისა და მოსწავლეთა ცოდნის ამაღლებისათვის საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს დაწყებითი და საშუალო სკოლის სამმართველოს საჭიროდ მიაჩნია გატარდეს შემდეგი ღონისძიებანი:

1. სკოლის დირექტორებმა:

1. მეოთხე მეოთხედის განმავლობაში განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ: ა) პროგრამით გათვალისწინებული მასალის მთლიანად გავლასა და განვლილის საფუძვლიანად განმეორებას და ბ) აღმზრდელობითი მუშაობის გაძლიერებას და ამ მიმართულებით ისეთი ღონისძიებების დასახვას, რაც ნამდვილად შეუწყობს ხელს მოსწავლეების იდეურ-პოლიტიკურ აღზრდას და მათში საზოგადოებრივსა და ბუნების მოვლენებზე დიალექტიკურ-მატერიალისტური შეხედულების გამომუშავებას;

2. 1947 წლის მარტამდე განიხილონ პედაგოგიური საბჭოს სხდომაზე ცალკე სასწავლო დისციპლინებში მოსწავლეთა აკადემიური წარმატების საკითხი და დასახონ მოსწავლეთა აკადემიური წარმატების დონის ამაღლებისათვის საჭირო ღონისძიებანი. განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ მეორეწლიან მოსწავლეთა აკადემიურ წარმატების დონის ამაღლების საქმეს;

3. პედაგოგიური საბჭოს სხდომებზე პერიოდულად მოისმინონ ცალკე სასწავლო დისციპლინების სწავლებისა და მოსწავლეთა მიერ პროგრამებით გათვალისწინებული სასწავლო მასალის შეთვისების მდგომარეობა და დასახონ სათანადო ღონისძიებანი;

4. სისტემატურად მოისმინონ მასწავლებელთა გაკვეთილები და სერიოზული ყურადღება მიაქციონ: მასწავლებლის მიერ სწავლებაში თვალსაჩინოების გამოყენებას, პრაქტიკულ-ლაბორატორული მუშაობის ჩატარებას, სასწავლო მასალის თანმიმდევრობით და სწორად გადაცემას მოსწავლეთათვის და მის გამოყენებას მოსწავლეთა აღზრდისათვის, მოსწავლეთა ცოდნის დონის შეფასებას და შეფასების ნიშნის ჩაწერას საკლასო ჟურნალში. აგრეთვე შეა-

მოწმონ რამდენად საფუძვლიანად აქვთ შეთვისებული მოსწავლეებს განვლილი სასწავლო მასალა, რამდენად ეხერხებათ მათ საზოგადოებრივი და ბუნების მოვლენების ანალიზი, და თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება; მოსმენილი გაკვეთილების შედეგები განაზოგადონ პედაგოგიური საბჭოს სხდომაზე და დასახონ საჭირო ღონისძიებანი;

5. დაწყებითი კლასების მეთოდური გაერთიანებებისა და მე-4 მე-11 კლასების საგნობრივი კომისიების მუშაობა წარმართონ იმგვარად, რომ ეს მუშაობა ხელს უწყობდეს პროგრამებით გათვალისწინებულ სასწავლო მასალის მთლიანად გავლას, გავლილის განმეორებას და მოსწავლეთა ცოდნის ამაღლებას; ა. წ. 29 მარტამდე პედაგოგიური საბჭოს სხდომაზე განიხილონ სკოლაში მეთოდური მუშაობის საკითხი და დასახონ სათანადო ღონისძიებანი;

6. ა. წ. 29 მარტამდე პედაგოგიური საბჭოს სხდომაზე მოისმინონ კლასის ხელმძღვანელთა სასწავლო-საალმზრდელო მუშაობის საკითხი და სათანადო ღონისძიებათა გატარებით მიაღწიონ მოსწავლეთა შორის აღმზრდელობითი მუშაობის ისე წარმართვას, რომ უზრუნველყოფილი იქნას მოსწავლეებში კომუნისტური მორალისა, მტკიცე ნებისყოფისა და ბოლშევიკური ხასიათის აღზრდა;

7. ჩოხატაურის საშუალო სკოლის დირექტორმა გრ. კუჭავამ პედაგოგიურ საბჭოს უახლოეს სხდომაზე მოისმინოს მოსწავლეთა მიერ ქცევის წესების შესრულების საკითხი, ქცევის წესების შეუსრულებლობის შემთხვევაში დასახოს შესაბამისი პედაგოგიური ღონისძიებანი; ამ საქმეში მტკიცედ იხელმძღვანელოს საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატის (ახლა განათლების სამინისტროს) მითითებებით მოსწავლეთა დასჯისა და წახალისების ღონისძიებათა შესახებ;

8. დაბლაციხის საშუალო სკოლის დირექტორმა გრ. ბოცვაძემ განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს სამოქალაქო ისტორიისა და გეოგრაფიის მასწავლებელ ვ. ჯიქიას მუშაობას, სისტემატურად მოისმინოს მისი გაკვეთილები და მისცეს მასწავლებელს საჭირო მეთოდიკური მითითებები; ა. წ. 29 მარტამდე მოისმინოს პედაგოგიური საბჭოს სხდომაზე ისტორიისა და გეოგრაფიის სწავლების მდგომარეობა და დასახოს ღონისძიებანი, რომელნიც ნამდვილად

უზრუნველყოფენ ამ საგნების სწავლების ხარისხის გაუმჯობესებასა და მოსწავლეთა ცოდნის დონის ამაღლებას;

9. საჭამიასერის საშუალო სკოლის დირექტორმა მ. გოგიტიძემ ყოველდღიური კონტროლი დააწესოს დარვინიზმის საფუძვლების მასწავლებელ მ. ქორიძის მუშაობაზე, ხშირად მოისმინოს მისი გაკვეთილები, პირადად შეამოწმოს მოსწავლეთა ცოდნის დონე და გაატაროს ისეთი ღონისძიებანი, რაც ხელს შეუწყობს მოსწავლეთა მიერ დარვინიზმის საფუძვლების პროგრამით გათვალისწინებულ მასალის შეგნებულად შეთვისებას.

II. ცალკე სასწავლო დისციპლინების მასწავლებლებმა:

1. 1947 წლის 30 მარტამდე შეადგინონ განვლილი სასწავლო მასალის განმეორების კალენდარული გეგმები, განსაკუთრებული ყურადღება მიაქცეონ განვლილი მასალის განმეორებას მე-4, მე-8 და მე-11 კლასებში და ახალი სასწავლო მასალის გავლასთან დაკავშირებით სისტემატურად აწარმოონ განვლილის საფუძვლიანი განმეორება იმ ვარაუდით, რომ სასწავლო წლის დასრულებამდე მთლიანად და საფუძვლიანად მოასწრონ პროგრამებითა და საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მითითებებით გათვალისწინებული სასწავლო მასალის გავლა, განმეორება და მოსწავლეთა შეიარაღება სრულფასოვანი და მტკიცე ცოდნით;

2. ცალკე საგნების სწავლებისას განსაკუთრებული ყურადღება მიაქცეონ მოსწავლეთა მიერ სასწავლო მასალის შეგნებულად შეთვისებას და მასალის დალაგებული თხრობით გადმოცემის უნარის გამომუშავებას, სასწავლო მასალა მიზანშეწონილად გამოიყენონ მოსწავლეებში სწორი მეცნიერული შეხედულების გამომუშავებისათვის; ავარჯიშონ მოსწავლეები სახელმძღვანელო წიგნზე და კლასგარეშე საკითხავ პოპულარულ-მეცნიერულ ლიტერატურის კითხვაში. სწავლებაში გამოიყენონ თვალსაჩინოება, ექსკურსიები, კინოფილმები და სხვ.;

3. საგნობრივი წრეების სამუშაო გეგმებში გაითვალისწინონ ისეთი საკითხების დამუშავება, რაც ხელს შეუწყობს მოსწავლეთა ცოდნის დონის ამაღლებასა და მათი საერთო განვითარების ჰორიზონტის გაფართოებას;

4. რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლებმა განსაკუთრებული ყურადღება მიაქცეონ მოსწავლეთა მიერ რუსული სიტყვებისა და გამოთქმების სწორად და შეგნებულად შეთვისებას, მახვილისა და რბილი ნიშნის მართებულად ხმარებას; სისტემატურად ავარჯიშონ მოსწავლეები ტექსტებზე, ფართოდ დანერგონ მოსწავლეებში კლასგარეშე საკითხავ ლიტერატურაზე მუშაობის ჩვევები; მე-9, მე-10 და მე-11 კლასების ლიტერატურის მასწავლებლებმა სასწავლო მასალის გავლისას განუხრელად იხელმძღვანელონ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მითითებებით „1946/47 სასწავლო წელს საშუალო სკოლის პროგრამებით მუშაობის შესახებ".

5. სამოქალაქო ისტორიის მასწავლებლებმა განსაკუთრებული ყურადღება მიაქცეონ მოსწავლეთა მიერ ისტორიული მოვლენების შეგნებულად შეთვისებას, ისტორიული სახელების და ქრონოლოგიის სწორად დასწავლას, მათში ისტორიული რუკის კითხვის ჩვევების გამომუშავებას და მიაღწიონ იმას, რომ მოსწავლეებს სწორად ესმოდეთ ისტორიული მოვლენის წარმოშობის მიზეზები, განვითარების გზები და შედეგები; შეეძლოთ ისტორიულ პირთა სწორი დახასიათება, ისტორიული მოვლენის ანალიზი და მასალის დალაგებული და ლოგიკური თანმიმდევრობით გადმოცემა;

6. ქიმიისა და ბიოლოგიის მასწავლებლებმა ფართოდ გამოიყენონ სწავლებაში თვალსაჩინოება, სასკოლო-ექსპერიმენტი, დაკვირვება ბუნების მოვლენებზე, ექსკურსიები ბუნებაში, კოლექტიურ და საბჭოთა მეურნეობებში და წარმოებაში; საგნების სწავლებას საფუძვლად დაუდონ ევოლუციური პრინციპი, განუმარტონ მოსწავლეებს მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსთა შეხედულებანი და დებულებები ბუნებისმეტყველების შესახებ, გააცნონ მოსწავლეებს დიდ ბუნებისმეტყველთა ცხოვრება-მოღვაწეობის მთავარი მომენტები და საბჭოთა კავშირში მეცნიერების წარმატება. კოლექტიურსა და საბჭოთა მეურნეობაში ექსკურსიის ჩატარების დროს გააცნონ მოსწავლეებს სოციალისტური მეურნეობის ძირითადი პრაქტიკული საკითხები; მოაწყონ სკოლაში ბუნების ცოცხალი კუთხე და სასწავლო მიწის ნაკვეთი, ჩაატარონ იქ პრაქტიკული მუშაობანი და მიაღწიონ იმას, რომ მოსწავლეებს ესმოდეთ ბუნების მოვლენები, მათი წარმოშობა-განვითარების მიზეზები,

გზები და კანონზომიერებანი და უზრუნველჰყონ მოსწავლეებში ბუნების შესახებ დიალექტიკურ-მატერიალისტური შეხედულების გამომუშავება; ბუნებისმეტყველებისა და ქიმიის სწავლებაში გამ-ნუხრელად იხელმძღვანელონ საქართველოს სსრ განსახკომის 1944 წლის 9 მარტის ბრძანებით („იხ. საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატის ბრძანებათა და განკარგულებათა კრებული № 1-2).

7. გეოგრაფიის მასწავლებლებმა განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ მოსწავლეთა მიერ გეოგრაფიული სახელებისა და ტერმინების სწორად შეთვისებას. სწორად შეასწავლონ მოსწავლეებს ცალკე ქვეყნების საზღვრები, რელიეფი; ჰავა, მდინარეები, ზღვები, ტბები და სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგები. სწორად გა-ნუმარტონ მოსწავლეებს გეოგრაფიული ფაქტორის მნიშვნელობა სახალხო მეურნეობის განვითარებისათვის, სისტემატურად ავარ-ჯიშონ მოსწავლეები რუკის კითხვაში, მოაწყონ ექსკურსიები ბუ-ნებაში და თვალსაჩინოდ შეასწავლონ მოსწავლეებს ფიზიკური გეოგრაფიის სათანადო მასალა. გეოგრაფიის სწავლებისას განუხ-რელად იხელმძღვანელონ სსრკ სახკომსაბჭოსა და საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1934 წლის 16 მაისის დადგე-ნილებით „სსრკ სკოლებში გეოგრაფიის სწავლების შესახებ“.

III. კლასის ხელმძღვანელებმა:

1. 1946/47 სასწავლო წლის მეოთხე მეოთხედის სასწავლო-სააღმზრდელო მუშაობის გეგმებში გაითვალისწინონ სკოლისა და კლასის თავისებურების შესაბამისი საკითხები, განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ მოსწავლეთა ცოდნის დონის ამაღლებისათ-ვის საჭირო ქმედითი ღონისძიებების დასახვასა და გატარებას;

2. გააძლიერონ მშობელთა შორის მუშაობა, გეგმაზომიერად ჩაატარონ მშობლებში მოხსენებები და ლექციები ბავშვთა და მო-ზარდთა აღზრდის საკითხებზე, ჩააბან სასკოლო მუშაობაში მშო-ბელთა აქტივი, პერიოდულად ჩაატარონ მშობელთა კრებები და გააცნონ მშობლებს სკოლის მიღწევები და მის წინაშე მდგარი ამოცანები;

3. გადაჭრით გააუმჯობესონ კლასგარეშე და სკოლისგარეშე მუშაობა, განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ მოსწავლეთა კლასგარეშე კითხვას; შეურჩიონ მოსწავლეებს კლასგარეშე საკითხავი ლიტერატურა, მისცენ მათ წიგნზე მუშაობისათვის საჭირო მითითებები, შეაჩვიონ ისინი ციტირებასა და კონსპექტის შედგენას, გამოიმუშაონ მათში თხზულებებიდან მთავარის შეცნობის ჩვევები და უნარი; სკოლის ბიბლიოთეკასთან მოწვეულ მკითხველთა თათბირებში მიიღონ მონაწილეობა, გამოავლინონ აქტიური მკითხველები და ხელი შეუწყონ მათ წიგნზე შემდგომ მუშაობაში;

4. წესრიგში მოიყვანონ მოსწავლეთა პირადი საქმეები და სხვა დოკუმენტები; განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ საკლასო ჟურნალის წესიერად წარმოების საქმეს და მიაღწიონ საკლასო ჟურნალში ყოველგვარი ცნობების დროზე და წესიერად ჩაწერას; მოსწავლეთა ცოდნის შეფასების მეოთხედური ნიშნები ფაქიზად და შეუცდომლად ჩასწერონ ჟურნალში და არ დაუშვან ჟურნალში ჩანაწერების გადასწორება ან ამოშლა.

IV. განათლების განყოფილებამ:

1. სკოლების სასწავლო-საალმზრდელო მუშაობის გამოკვლევისას განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს მასწავლებელთა მიერ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს პროგრამებითა და მითითებებით განსაზღვრული სასწავლო მასალების სწორად და საჭირო თანმიმდევრობით გავლას და არ დაუშვან მათ მიერ მასალის გაუვლელობა ან ზედმეტი მასალის გავლა;

2. ა/წ. 29 მარტამდე მოიწვიოს სკოლის დირექტორებისა და სასწავლო ნაწილის გამგეთა თათბირი და შეიმუშაოს სკოლებში განვლილი მასალის განმეორებისათვის საჭირო ღონისძიებები;

3. განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს დაბლაციხის საშუალო სკოლის ისტორიისა და გეოგრაფიის მასწავლებელ ვ. ჯიქიას და საჭამიასერის საშულო სკოლის ბიოლოგიის მასწავლებელ მ. ქორიძის მუშაობას და დასახოს მათი მუშაობის ხარისხის გაუმჯობესებისათვის საჭირო ღონისძიებები;

4. პედაგოგიური კაბინეტის მეთოდისტებისა, სექციების ხელმძღვანელებისა და გამოცდილ მასწავლებელთა ძალებით ჩაატაროს სკოლებში თათბირები სასწავლო მასალის მთლიანად გავლისა და გავლილის განმეორების საკითხებზე;

5. ეს მითითებები დაიყვანოს სკოლებამდე და უზრუნველჰყოს მათი შესრულება.

დაწყებითი და საშუალო სკოლის სამმართველოს უფროსი

უშ. ოგოლაძე

მშრომელთა დეპუტატების წითელწყაროს რაისაბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის სახალხო განათლების განყოფილების გამგეს

1947 წლის 10-16 მარტს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს დაწყებითი და საშუალო სკოლის სამმართველოს ინსპექტორების ბ. ბათიაშვილის და ნ. გელაშვილის მიერ წითელწყაროს რაიონის სკოლების მუშაობის გამორკვევის შედეგად წარმოდგენილ მასალებით დასტურდება, რომ რაიონის პარტიულ და საბჭოთა ორგანოების დახმარებით რაიონის რიგი სკოლები მიმდინარე სასწავლო წლისათვის უზრუნველყოფილი იქნა შესაფერი ბინებით; ზემოქედის საშუალო სკოლას გადაეცა 32 ოთახიანი, კარგად შეკეთებული ბინა. ქვემოქედის რვაწლიან სკოლას, რომელიც მოთავსებული იყო 5 ოთახში და განიცდიდა დიდ სივიწროვეს, დამატებით გადაეცა ოთხი ოთახი.

განათლების განყოფილების მიერ მიმდინარე სასწავლო წელს რაიონის ყველა სკოლა შემოწმებულია თითოჯერ, ხოლო ექვსი სკოლა მეორეჯერ. ზონების მიხედვით ჩატარებულია მასწავლებელთა მეთოდური თათბირები და სხვ.

კერძოდ, წითელწყაროს ქართული საშუალო სკოლის მასწავლებელთა უმრავლესობა ძირითადად სწორად წარმართავს მუშაობას და სწავლა-აღზრდის საქმეში აღწევს გარკვეულ წარმატებას.

კარგად არიან დაუფლებული საგანს და მის სწავლების მეთოდებს. წითელწყაროს ქართული საშუალო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლები ელ. ლაფიაშვილი და რ. თარა-

ძვილი, ისინი კარგად იბრძვიან მოსწავლეთა წერითი და ზეპირი მეტყველების კულტურის დონის ამაღლებისათვის და განსაკუთრებულ ყურადღებით ეჭცევიან აღზრდის ამოცანების დაკავშირებას სწავლებასთან.

კარგად არის დაყენებული ისტორიის სწავლების საქმე წითელწყაროს ქართულ საშუალო სკოლაში (მასწავლებელი მ. გოგინაშვილი) და ქვემოქედის რვაწლიან სკოლაში (მასწ. ალ. მჭედლიშვილი). წითელწყაროს ქართული საშუალო სკოლის მეცხრე კლასის მოსწავლეებმა კარგად იციან წინა გაკვეთილის თემა „ა. შ. შტატების იმპერიალისტურ პოლიტიკაზე გადასვლა" ისინი შეგნებულად უსვამდნენ ხაზს ძირითად საკითხებს, სწორად იყენებდნენ ლენინის სიტყვებს აშშ მრეწველობის კონცენტრაციისა და ტრესტების განვითარების შესახებ. სწორად იძლევიან პასუხს განვლილ საპროგრამო მასალიდან: საფრანგეთ-პრუსიის ომისა, პარიზის კომუნისა, პარიზის კომუნის შესახებ მარქსისა, ენგელსისა, ლენინისა და სტალინის შეხედულებათა შესახებ და სხვ.

ასევე დამაკმაყოფილებელ ცოდნას იჩენენ ისტორიაში ქვემოქედის რვაწლიანი სკოლის VIII კლასის მოსწავლეები. მაგ. ისინი თანმიმდევრულად გადმოსცემენ კ. მარქსისა და ფრ. ენგელსის ბიოგრაფიას, ჩარტისტული მოძრაობის დამარცხების მიზეზებს და სხვა.

წითელწყაროს ქართულ საშუალო სკოლის გეოგრაფიის მასწავლებელი მ. ლაფიაშვილი და ქ. ჯორკოშვილი კარგად იყენებენ თვალსაჩინოებას, მათი მოსწავლეები დაუფლებულნი არიან რუკის კითხვას.

ამავე სკოლის დირექცია დამაკმაყოფილებელ მუშაობას ატარებს ხელმძღვანელობისა და კონტროლის განხორციელების საქმეში (სკოლის დირექტორს ვ. პოპიაშვილს მოსმენილი და გაფორმებული აქვს 108 გაკვეთილი, სასწავლო ნაწილის გამგეს—120 გაკვეთილი. მოსმენილ გაკვეთილების შედეგებს იხილავენ პედაგოგიურ საბჭოს სხდომაზე). სკოლის პედკოლექტივი კარგად იბრძვის მოსწავლეთა შორის კულტურულ-ჰიგიენური ჩვევების დანერგვისათვის.

ამასთან ერთად დასახელებული სკოლების მუშაობაში ადგილი აქვს მთელ რიგ ნაკლოვანებებს, რომელთაგან მთავარია შემდეგი:

ა) **ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების საქმე** არადამაკმაყოფილებლად არის დაყენებული ზემოქედის საშუალო სკოლაში. მასწავლებელ ნ. ბუჩუკურს აკლია პედაგოგიური გამოცდილება, საგნის წლიური სამუშაო გეგმა არ აქვს შედგენილი პროგრამის განმარტებითი ბარათის შესაბამისად (მასალის თანმიმდევრობა ქრესტომათიის მიხედვით), არა აქვს შეტანილი გეგმაში პროგრამით გათვალისწინებულ დამატებითი მასალა; სუსტად იცის ქართული ენის გრამატიკის კურსი. იგი ენის სწავლებას ვერ უკავშირებს მართლწერის გამომუშავების საქმეს. არასისტემატურად და ზერელედ ასწორებს მოსწავლეთა წერითი ნამუშევრებს და შესაფერისად ვერ იყენებს სასწავლო მასალას აღმზრდელობითი თვალსაზრისით. VI კლასში მასწავლებელმა, ზმნა „ვაკეთებ“ მოსწავლეებს აუღლებინა, როგორც ვნებითი გვარის II ტიპის უღლების ზმნა. იგი ერთმანეთში ურევს ზმნის გვარობისა და სახეობის საკითხს, ზმნათა უღლების დროს ხმარებიდან გადავარდნილ (კილოში შემონახულ) II ხოლმეობითს იყენებს ყოველთვის (რა ვქნი? გავაკეთი, გააკეთი, გააკეთის). დაბალია V-VI-VII კლასის მოსწავლეთა მომზადების დონე, როგორც ენაში, ისე ლიტერატურაში V კლასის მოსწავლეებმა შესწავლილ მასალიდან არ იციან შ. არაგვისპირელის ბიოგრაფიაში მოხსენებული ზოგიერთი სიტყვები: „პანთეონს“ ზოგი განმარტავს, როგორც საცხოვრებელ ადგილს, „საბეითლო ინსტიტუტი“ ზოგს საინჟენერო სასწავლებელი ჰგონია, ზოგს მწერალთა სკოლა. იმავე კლასის მოსწავლეებს არ აქვთ კარგად გაგებული შ. არაგვისპირელის სასულიერო სასწავლებლიდან გამორიცხვისა და ვარშავაში მისი დაპატიმრების მიზეზები.

დაბალია მოსწავლეთა წერითი მეტყველების კულტურა. წერითი ნამუშევრები ხასიათდება არადამაკმაყოფილებელი კალიგრაფიით, ორთოგრაფიულ, სტილისტურ, პუნქტუაციურ შეცდომათა სიმრავლით. მოსწავლეთა წერითი ნამუშევრების შეფასებაში მასწავლებელი იჩენს ლიბერალიზმს. VI კლ. მოსწ. მ-ეს აქვს შეფასება „5“ სუბიექტიური პირის ნიშნებზე არასწორად შესრულებულ ნამუშევარში. „4“ უწერია ამავე ხასიათის სამუშაოში მოსწ. თ-ს, რომელიც წერს შ-ჭრი, შ-ჭრის, შ-ჭრით; VII კლ. მოსწ. პ-ს ერთ

წერით ნამუშევარში აქვს დაშვებული სხვადასხვა ხასიათის შეცდომა (უმრავლესობა გაუსწორებელია მასწავლებლის მიერ) და შეფასებულია „3-ზე. გაუსწორებელს სტოვებს მასწავლებელი შეცდომებს „კანცელარის“, „ბალკომზე“, „ეკუთნეოდა“, „ბუნტავდა“, „მებატონეობის“, „ტყებით“, „გამემშვიდობა“, „მამასისხლმა“ და სხვ.

უგეგმოდ მუშაობს ამავე სკოლის VIII-XI კლ. ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი მ. ბაცაცაშვილი. მას ჯერ კიდევ არა აქვს შედგენილი საგნის წლიური სამუშაო გეგმა XI კლასისათვის, რის გამო აღნიშნულ კლასში გასულ წლებში გავლილ მასალის გამეორება არ სწარმოებს თანმიმდევრობით. არ არის გამეორებული ქართული ხალხური ზეპირსიტყვიერება, ხალხოსან მწერლების, ნ. ლომოურისა და ს. მგალობლიშვილის ნაწარმოებები. ასევე არათანმიმდევრულია VIII კლასში ენობრივი მასალის გამეორება, ძლიერ ცოტა დრო არის გამოყენებული ზმნის საკითხის გამეორებაზე (6 საათი ,ნაცვლად 22-ისა) სრულებით გამოტოვებულია არსებითი სახელი (10 საათის მასალა) და სხვ. მასწავლებელი არაგულდასმით ასწორებს მოსწავლეთა წერითი ნამუშევრებს. გაუსწორებელს სტოვებს არა მარტო ორთოგრაფიულ, სტილისტურ და სხვა ხასიათის შეცდომებს, არამედ ფაქტიურსაც. მაგ. VIII კლ. მოსწ. თ. ჩ-ი წერს „ილია ჭავჭავაძემ და აკ. წერეთელმა გაილაშქრეს იმის წინააღმდეგ, რომ პოეტი ემსახუროს ხალხს და იყოს სამშობლოსადმი პატრიოტული გრძნობით სავსე და ილ. ჭავჭავაძეს და აკ. წერეთელს ჰქონდათ სამშობლოზე შეხედულება უტილიტარული“?!

მოსწავლეთა ნამუშევრები იშვიათად არის დათარიღებული. IX კლასში დღეანდლამდე მხოლოდ 6 წერაა ჩატარებული (ნაცვლად 12-ისა), მათგან 4 თემა „ვეფხის ტყაოსნის“ ირგვლივ. XI კლასის მოსწავლეთა მიერ წერითი ნამუშევრები სუსტად არის შესრულებული, „შუშანიკის წამების“ განხილვისას მოსწავლენი შინაარსის გადმოცემით კმაყოფილდებიან და არ აღნიშნავენ ნაწარმოების ისტორიულ-ლიტერატურული მნიშვნელობის შესახებ. მასწავლებლის კონტროლის გარეშეა მოსწავლეთა საშინაო დავალებათა რვეულები. ლიტერატურის თეორიის საკითხებზე X კლასის მოსწავლეებს აქვთ არასწორი ჩანაწერები, რომანტიზმის განმარტება თითქ-

მის ყველა მოსწავლეს შემდეგნაირად უწერია „რომანტიზმი არის ლიტერატურული მიმართულება, რომელიც ემსახურება ამა თუ იმ ეპოქას, ან უკმაყოფილოა ან კმაყოფილი...“

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნაკლებს მუშაობს საგნის დაუფლებისა და პედაგოგიურ დახელოვნებისათვის წითელწყაროს საშუალო სკოლის V-VI კლასების ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი ქ. ბოსტოღანაშვილი, VI კლასის მოსწავლეებმა სუსტად იციან ქართულ ენაში ძირითადი საპროგრამო მასალა—ზმნა. მოსწ. შ-მა ზმნაში გა-და-ი-შალ-ა ვერ მოძებნა ფუძე. **და** ჩათვალა კავშირად **გა**—ობიექტურ პირის ნიშნად არ იცოდა **ი** **და** **ა** რას წარმოადგენს. მოსწ. კ-ე და სხვები ზეპირად ჩამოთვლიან 9-თანხმოვანს, რომელთა წინ მეორე პირის სუბიექტური ნიშანი **ჰ** შეიცვლება **ს** დ, მაგრამ მაგალითისათვის შესაფერ ზმნებს ვერ ასახელებენ. მოსწ. მ-ი და სხვები ზმნაში „ვ-ვარჯიშობ, **ვ**-ს სთვლიან ხან ზმნისწინად, ხან ქცევის ნიშნად. V კლასის მოსწავლეები „გოგია უიშვილის“ ცალკე თავების თხრობისას „ეგზეკუციას“ რაღაც საგნად სთვლიან და ამბობენ „ეკუცია ჩამოიტანეს“. „ეკუცია გადაიხადეს“ და სხვ. მასწავლებელი აღნიშნულ მოთხრობის შესწავლისას სრულებით არ იყენებს წიგნში მოცემულ დასათაურებას („ხუთი ფურცელი გქონდათ საამბობლოდ არა ბავშვებო!?“ მიმართავს მოსწავლეებს. დაბალია აღნიშნულ კლასების მოსწავლეთა წერითი მეტყველების კულტურაც. მასწავლებელი არ ახდენს ენობრივ სავარჯიშოსათვის ტექსტის შერჩევას და ზოგჯერ იღებს აღმზრდელობით მნიშვნელობას მოკლებულ წინადადებებს („ღმერთმა გაუზარდოს თავის დედმამას სასახელოდ“) და კუთხურ დიალექტისათვის დამახასიათებელსაც (რავა მიათრევს თავის რაშს, აი გაგისქდა მიწა...“) და სხვ. ქცევის ნიშნების გამოყოფისათვის სავარჯიშოდ აძლევს ტექსტს, სადაც ხუთი ზმნიდან სამი უქცეო ზმნაა.

ქვემოქედის რვაწლიანი სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი თ. ბაინდურაშვილი მოხერხებულად ვერ არჩევს V - VIII კლასებისათვის წერითი სამუშაოს სახეებს, ის უმეტესად კმაყოფილდება ცალკე ნაწარმოებთა მოკლე შინაარსებით და ენობრივ მასალიდან სახელთა ბრუნვითა და ზმნათა უღლებით. ნაკლებს მუშაობს მოსწავლეთა სწორი წერითი ხელის გამომუშა-

ვებისათვის და წერით ნამუშევრებში დაშვებულ შეცდომათა გასწორებისათვის არ ამუშავებს თვით მოსწავლეებს.

შემოწმებულ სკოლებში ყველგან არ დგას სათანადო სიმაღლეზე II - III კლასებში სუფთა წერის საქმე. ქვემო - ქედის რვაწლიანი სკოლის III კლასში (მასწ. ს. ხუმარაშვილი) სუფთა წერის საათები მართებულად არ არის გამოყენებული, მოსწავლენი წერენ უსუფთაოდ ასოთა გამარტივებისა და გადაბმის გარეშე.

ბ) **სამოქალაქო ისტორიის სწავლების** ძირითად ნაკლად უნდა ჩაითვალოს ის, რომ ზემოქედის საშუალო სკოლის მოსწავლეთა საგრძნობმა ნაწილმა არადამაკმაყოფილებლად იცის გავლილი საპროგრამო მასალა. მეთერთმეტე კლასის მოსწავლეებმა (მასწავლებელი მ. სვარიძე) წინა გაკვეთილის თემა „ირანისა და ოსმალეთის ბატონობა საქართველოში და ბრძოლა მის წინააღმდეგ“ შესძლეს დამაკმაყოფილებლად და თანმიმდევრული თხრობით გადმოცემა, მაგრამ გავლილ საპროგრამო მასალიდან დასმულ კითხვებზე: ფეოდალური წყობილების წარმოშობა საქართველოში, დავით აღმაშენებლის სამხედრო და საეკლესიო რეფორმები, თამარის გამეფება და ბრძოლა სამეფო კარზე, საქართველოს კულტურული ვითარება მე-12 საუკუნეში და სხვ. დამაკმაყოფილებელ პასუხს მოსწავლეთა მხოლოდ მცირე ნაწილი იძლევა. ამავე კლასის მოსწავლეთა უმრავლესობამ სსრ კავშირის ისტორიის განვლილი საპროგრამო მასალიდან არადამაკმაყოფილებლად იცის უცხოეთის სამხედრო ინტერვენციის დასაწყისისა, კოლჩაკის, დენიკინის და ვრანგელის განადგურებათა შესახებ.

გ) **გეოგრაფიის სწავლების** ძირითად ნაკლად ის უნდა ჩაითვალოს, რომ ზემოქედის საშუალო სკოლის მოსწავლეთა დიდი ნაწილი არადამაკმაყოფილებლად არის დაუფლებული რუკის კითხვას. მეცხრე კლასში (მასწავლებელი ნ. გვრიტიშვილი) გამოკითხულ მოსწავლეთა უმრავლესობამ რუკაზე ვერ უჩვენა: ევროპის კუნძულები და ნახევარკუნძულები, ჰოლანდია, ბელგია, დანია, დიდი ბრიტანეთის დომინიონები, საფრანგეთისა და ჰოლანდიის კოლონიები და სხვ.

შიუხედავად იმისა, რომ მასწავლებელი საგნის მცოდნეა (რაც ვამტკიცებდა მის მიერ გადაცემული გაკვეთილით „კანადის მეურნეობის ზოგადი დახასიათება“) მას არადამაკმაყოფილებელი

მუშაობა უწარმოებია მოსწავლეებში რუკის კითხვის ჩვევების დანერგვისათვის. აღსანიშნავია, რომ სკოლას შეუძენია საკმაო რაოდენობის გეოგრაფიული რუკები და ოთახიც გამოყოფილია გეოგრაფიის კაბინეტის მოსაწყობად, მაგრამ დღემდე იგი სათანადოთ გამოყენებული არ არის.

დ) **არითმეტიკის სწავლება** არადამაკმაყოფილებლად არის დაყენებული ქვემოქედის რვაწლიანი სკოლის მეხუთე და მეექვსე კლასებში (მასწავლებელი თ. შერმაზანაშვილი). გავლილი მასალიდან მეხუთე კლასის მოსწავლეთა უმრავლესობამ მტკიცედ არ იცის: წილადის განსაზღვრა, წილადის წევრები—მრიცხველი, მნიშვნელი, წესიერი წილადი, არაწესიერი წილადი, შერეული რიცხვი და სხვ.

მეექვსე კლასის მოსწავლეებმა არ იციან ოთხი მოქმედება ჩვეულებრივ წილადებზე; სამ მოსწავლიდან მხოლოდ ერთმა შესძლო 1-$^{3}/_{4}$-ს გამოანგარიშება. ამავე კლასის მოსწავლეებმა ვერ განსაზღვრეს არითმეტიკული და გეომეტრიული შეფარდებები, პროპორცია, არ იციან პროპორციის ძირითადი თვისება, პროპორციის უცნობი წევრის პოვნა და სხვ.

ე) მნიშვნელოვანი ნაკლი ახასიათებს სკოლის ხელმძღვანელთა სამუშაო გეგმებს. ქვემოქედის რვაწლიანი სკოლის სამუშაო გეგმაში დირექტორსა და სასწავლო ნაწილის გამგეზე საკითხები ცალ-ცალკე არ არის გაპირობებული (დირ. ა. მჭედლიშვილი, სასწ. ნაწ. გამგე რ. ელაშვილი). ზემოქედის საშუალო სკოლის დირექციის III მეოთხედის სამუშაო გეგმა არ გამომდინარეობს სკოლის წლიური სასწავლო-საალმზრდელო გეგმიდან. გეგმით გათვალისწინებული მთელი რიგი საკითხები ზოგადია. მასწავლებელთა საკმაო ნაწილი სისტემატურად არ ადგენს თემატიკურ გეგმებს.

ვ) სათანადო სიმაღლეზე ვერ დგას აღმზრდელობითი მუშაობა ზემოქედის საშუალო და ქვემოქედის რვაწლიან სკოლაში, მასწავლებელთა კოლექტივი არასაკმაოდ მუშაობს მოსწავლეთა შორის კულტურულ-ჰიგიენურ ჩვევების დანერგვისა და მშობელთა პედაგოგიზაციისათვის. საალმზრდელო გეგმებით ითვალისწინებენ ზოგადს და არა კლასის მოთხოვნილებიდან გამომდინარე კონკრეტულ საკითხებს, რის გამო გეგმები ფორმალურ ხასიათს ღებულობს და მისი განხორციელებისათვის ზრუნვაც ნაკლებად ჩანს. მაგ. ზემო-

ქედის საშუალო სკოლის რამდენიმე კლასის ხელმძღვანელს სამუშაო გეგმაში შეაქვს საკითხი შემდეგი ფორმულირებით „მოსწავლეთა მიერ გაკვეთილების გამოტოვებისა და დაგვიანების მიზეზების ლიკვიდაცია (მშობლებთან მისვლა, მშობლების გამოძახება დირექციაში, გაწითლება კლასის წინაშე და სხვ.).

ზ) ზემოქედის საშუალო სკოლაში (დირ. მ. ბაცაცაშვილი) ჩაშლილია მეთოდური მუშაობა, არ არის შექმნილი I და II კლასების მეთოდკომისიები, იშვიათად ტარდება ღია გაკვეთილები და მეთოდური თათბირები, მასწავლებელთა გამოცდილების ურთიერთგაზიარება და დირექციის მიერ მოსმენილ გაკვეთილთა განზოგადება.

თ) მნიშვნელოვანი ნაკლოვანებანი ახასიათებს შესწავლილ სკოლების პედსაბჭოს მუშაობას. დღის წესრიგში უმეტეს შემთხვევაში დგას საორგანიზაციო ხასიათის საკითხები. ხშირია პედსაბჭოს მიერ მიღებულ ღონისძიებათა არასწორი ფორმულირების შემთხვევები. მაგ., ზემოქედის საშუალო სკოლის პედსაბჭოს ოქმი № 2-ში V-VIII კლასებში ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების შესახებ მიღებულ ღონისძიებაში სწერია „მომხსენებელი აღნიშნავს, რომ მშობლიური ენისა და ლიტერატურის სწავლება აღნიშნულ კლასებში რვაწლიან სკოლებად გადაკეთებამ სერიოზულობის წინაშე დააგვაყენა“. აღნიშნულ სკოლებში ნაკლები ყურადღება ექცევა პედსაბჭოსათვის მზადების საქმეს.

ი) ქვემოქედის რვაწლიანი სკოლის გაკვეთილების ცხრილი არამართებულად არის შედგენილი. ზოგიერთი ის საგნები, რომლებსაც კვირაში ორი საათი აქვთ დათმობილი სასწავლო გეგმით, თანმიმდევრობით ტარდება. ხშირია ერთი და იმაღე საგნების მეექვსე გაკვეთილებად შეტანა. VIII კლასში პარასკევს, VI კლასში შაბათს, V კლასში ხუთშაბათს, ცხრილში შეტანილია მხოლოდ ოთხოთხი გაკვეთილი, სამაგიეროდ აღნიშნულ კლასებში კვირაში სამჯერ ტარდება ექვსეულვსი გაკვეთილი. (ცხრილის შესწორების შესახებ რაიონის განათლების განყოფილებას მიუთითებია ჯერ კიდევ გასული წლის დეკემბერში).

კ) შემოწმებულ სკოლებში არადამაკმაყოფილებლად არის დაყენებული კლასგარეშე მუშაობა. მოსწავლეთა საგნობრივი წრეები მხოლოდ სასწავლო მასალის საკითხების დამუშავებით იფარგლება. ნაკლებად ტარდება წრეებში ისეთი ხასიათის მუშაობა, რაც გა-

მოავლენს მოსწავლის ნიჭს და შემოქმედებით უნარს. წითელწყაროს საშუალო სკოლაში IX-X-XI კლასების ლიტერატურულ წრეს ხელმძღვანელობს მასწავლებელი დავიდოვა, რომელსაც ამ კლასებში არ აქვს გაკვეთილები. ამავე სკოლის V-VIII კლასების ლიტერატურულ წრეში 82 მოსწავლეა გაერთიანებული და გეგმით გათვალისწინებული აქვთ პროგრამული საკითხები და ისიც გამარტივებული სახით („ოსმან აღას თავგადასავალის" მოკლე შინაარსი, „გლახის ნაამბობის" მოკლე შინაარსი, „კაკო ყაჩაღიდან" ზაქროს თავგადასვალი, დ. კლდიაშვილის მოთხრობა „დარისპანის გასაჭირის" გარჩევა და სხვ.). ზემოქედის საშუალო სკოლის ლიტერატურული წრე 90 მოსწავლეს აერთიანებს, მაგრამ ფაქტიურად მუშაობა არ სწარმოებს. ასეთივე მდგომარეობაა ქვემოქედის რვაწლიან სკოლაში. ზემოქედის საშუალო და ქვემოქედის რვაწლიან სკოლებში მოუწესრიგებელია ბავშვთა კლასგარეშე კითხვის ორგანიზაცია. ზემოქედის საშუალო სკოლის ბიბლიოთეკა განიავებულია, ამჟამად მხოლოდ 100 წიგნი მოიპოვება, ბიბლიოთეკის შევსებაზე სკოლის დირექცია არ ზრუნავს, გასული წლის ბიუჯეტით ბიბლიოთეკისათვის გათვალისწინებული 600 მანეთი სხვა დანიშნულებას მოხმარდა. ქვემოქედის რვაწლიან სკოლაში 300 წიგნია მაგრამ გამოუყენებელია, როგორც მოსწავლეთა, ისე მასწავლებელთა მიერ. წითელწყაროს საშუალო სკოლის X კლასის მოსწავლეთა კედლის გაზეთი დაბალი ხარისხისაა. ზემოქედის საშუალო სკოლაში მოსწავლეთა და მასწავლებელთა კედლის გაზეთი ერთად გამოდის (რედაქტორი მასწავლებელი ვ. ფანჯავიძე), რაც არანორმალურად უნდა ჩაითვალოს.

ლ) ზემოქედის საშუალო და ქვემოქედის რვაწლიან სკოლებში მოსწავლეთა აკადემიური წარმატების მიმდინარე აღრიცხვას არ ექცევა სათანადო ყურადღება. აღნიშნულ სკოლებში განსაკუთრებით ცუდად არის დაყენებული დამუშავებულ მასალის შეტანის საქმე საკლასო ჟურნალებში. მაგ., ზემოქედის საშუალო სკოლის X კლასში (კლ. ხელმძღვანელი კერნერი) 2/IX-1/XI ჩაუწერელია 59 გაკვეთილის მასალა, ამავე სკოლის VIII კლასში (კლ. ხელმ. სვარიძე) 2/IX-13/III 70 საათის მასალა.

მ) მოუწესრიგებელია მოსწავლეთა პირადი საქმეები ქვემოქედის რვაწლიან სკოლაში.

აღნიშნულ ნაკლოვანებათა გამოსწორებისათვის საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს დაწყებითი და საშუალო სკოლის სამმართველო საჭიროდ სცნობს გატარდეს შემდეგი ღონისძიებანი:

ეროვნული ბიბლიოთეკა

I. სკოლის დირექტორებმა და სასწავლო ნაწილის გამგეებმა:

1. სათანადო ზედამხედველობა დააწესონ მასწავლებელთა მუშაობაზე, განიხილონ მასწავლებელთა თემატიკური გეგმები, სისტემატურად დაესწრონ მასწავლებლებს გაკვეთილებზე, კონკრეტულად გამოარკვიონ პროგრამული მასალის ათვისების ხარისხი, განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ მოსწავლეთა აღზრდის ამოცანათა დაკავშირებას სწავლებასთან.

2. პედსაბჭოს მუშაობაში იხელმძღვანელონ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მიერ დამტკიცებული სათანადო დებულებით (ბრძანებათა კრებული № 1—1946 წ.).

3. ზემოქედის საშუალო სკოლაში მეთოდური მუშაობა წარმოებულ იქნეს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მიერ დამტკიცებულ სათანადო დებულების შესაბამისად (ბრძანებათა კრებული № 11-12—1946 წელი).

4. მიღებულ იქნას ცნობად რომ ქვემოქედის საშუალო სკოლის დირექციამ უკვე შეასწორა გაკვეთილების ცხრილში არსებული შეცდომები და რომ მსგავს შემთხვევას მომავალში ადგილი აღარ ექნება.

ამავე სკოლის დირექტორმა პედსაბჭოს უახლოეს სხდომაზე განიხილოს საკითხი სკოლაში სუფთა წერისა და მოსწავლეთა ქცევის წესების შესრულების შესახებ, გაატაროს ღონისძიებანი II - III კლასებში სუფთა წერაში არსებულ ჩამორჩენათა გამოსასწორებლად და სკოლის მოსწავლეთა შორის კულტურულ-ჰიგიენური ჩვევების დანერგვისათვის.

5. ყოველდღიური დახმარება გაუწიონ ახალგაზრდა მასწავლებლებს ნ. ბუჩუკურს (ზემოქედის საშ. სკოლა), ქ. ბოსტოღანაშვილს (წითელწყაროს საშ. სკოლა), თ. შარმაზანაშვილს (ქვემოქედის რვაწლიანი სკოლა) პედაგოგიური დახელოვნების საქმეში.

6. გარდაქმნან მოსწავლეთა საგნობრივი წრეების მუშაობა, გადაახალისონ წრეების წევრთა და ხელმძღვანელთა შემადგენლო-

ბა, უზრუნველჰყონ საგნობრივ წრეების სამუშაო გეგმების გადამუშავება.

7. ზემოქედის საშუალო სკოლაში მოსწავლეთა კედლის გაზეთი ცალკე გამოიყოს მასწავლებელთა გაზეთისაგან.

8. ზემოქედის საშუალო და ქვემოქედის რვაწლიან სკოლაში ყოველდღიური კონტროლი დააწესონ მოსწავლეთა აკადემიური წარმატების მიმდინარე აღრიცხვისა და დამუშავებული მასალის საკლასო ჟურნალებში შეტანის საქმეზე.

9. უზრუნველჰყონ მოსწავლეთა პირადი საქმეების მოწესრიგება.

II. ცალკე სასწავლო დისციპლინების მასწავლებლებმა:

1. ყოველდღიურად იზრუნონ თავიანთ იდეურ-პოლიტიკური და საგანში მეცნიერული მომზადების დონის ამაღლებისათვის, იკითხონ მარქსიზმ-ლენინიზმის ფუძემდებელთა ნაშრომები, პოლიტიკური ჟურნალ-გაზეთები და სისტემატურად გაეცნონ პედაგოგიურ-მეთოდურ ლიტერატურას.

2. საგნის სწავლების თითოეულ გაკვეთილზე მჭიდროდ დაუკავშირონ მოსწავლეთა კომუნისტური აღზრდის ამოცანებს.

3. შემოწმებული სკოლების ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლებმა:

ა) ნ. ბუჩუკურმა, ქ. ბოსტოღანაშვილმა, თ. ბაინდურაშვილმა იზრუნონ საგნის დაუფლებისა და პედაგოგიური დახელოვნებისათვის; განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ მოსწავლეთა ზეპირი და წერითი მეტყველების განვითარების საქმეს, ლიტერატურული მასალის აღმზრდელობითი თვალსაზრისით გამოყენებას. გეგმიანად და თანმიმდევრულად გაიმეორონ წლის განმავლობაში განვლილი მასალა. დაწესებული რაოდენობით ჩაატარონ წერითი სამუშაოები და გულდასმით გაასწორონ იგი.

ბ) მ. ბაცაცაშვილმა IV მეოთხედში XI კლასში ჩაატაროს წლის განმავლობაში გამოტოვებული საკითხების გამეორება, დააწესოს გარკვეული კონტროლი მოსწავლეთა საშინაო დავალებათა რვეულებზე, სისტემატურად ამოწმოს ლიტერატურის თეორიის საკითხებზე მოსწავლეთა ჩანაწერები.

გ) ქვემოქედის რვაწლიანი სკოლის III კლასის მასწავლებელმა

ს. სუმარაშვილმა შეისწავლოს ქართული წერის დედანი და უზრუნველჰყოს კლასში სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სუფთა წერის გაკვეთილების მართებულად გამოყენება.

4. ზემოქედის საშუალო სკოლის ისტორიის მასწავლებელი მ. სვარიძე საფუძვლიანად ემზადოს გაკვეთილისათვის და ახალი მასალის გადაცემასთან ერთად სისტემატურად აწარმოებდეს გაცლილი მასალის გამეორებას.

5. ზემოქედის საშუალო სკოლის გეოგრაფიის მასწავლებელმა ნ. გვრიტიშვილმა მეტი ყურადღება მიაქციოს რუკაზე ვარჯიშს, სათანადოდ მოაწყოს გეოგრაფიის კაბინეტი.

6. ქვემოქედის რვაწლიანი სკოლის მათემატიკის მასწავლებელმა ათ. შარმაზანაშვილმა სისტემატურად იმუშაოს საგნის დაუფლებისა და პედაგოგიური დახელოვნებისათვის, ემზადოს თითოეული გაკვეთილისათვის, იქონიოს ყველა საჭირო გეგა.

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს დაწყებითი და საშუალო სკოლის სამმართველოს უფროსი უშ. ოგოლაძე

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს დაწყებითი და საშუალო სკოლის სამმართველოს ინსპექციის უფროსი

შ. იაშვილი

1947 წ. 26 აპრილი.

მშრომელთა დეპუტატების სამტრედიის რაისაბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის სახალხო განათლების განყოფილების გამგეს

სამტრედიის რაიონის ქ. სამტრედიის რუსულ, ქალთა ქართულ, დიდი ჯიხაიშისა და კულაშის სტურუას სახელობის საშუალო სკოლებში სასწავლო-საალმზრდელო მუშაობის გამოკვლევის შედეგებზე საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს დაწყებითი და საშუალო სკოლის სამმართველოს ინსპექტორების ეგნ. ინგოროყვასა და მ. დათიაშვილის მიერ წარმოდგენილი მასალებით დადასტურდა, რომ სკოლების დირექტორები გ. კანდელაკი, ქ. სტურუა, გ. შენველია, გ. ნინუა და მასწავლებელთა დიდი უმრავლესობა ძირითა-

დად სწორად წარმართავენ სასწავლო-საალმზრდელო მუშაობას, რის შედეგადაც აღნიშნულ სკოლებში მოსწავლეთა ცოდნის აღზრდისა, განათლებისა და სწავლების საქმეში მოპოებულია გარკვეული წარმატება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კარგად მუშაობენ მასწავლებლები: ნ. ჯორბენაძე (რუსული ენისა და ლიტერატურის), მ. ჩიქოვანი (ბიოლოგიის), ნ. ჟვანია (გეოგრაფიის)—სამტრედიის რუსულ საშუალო სკოლაში; ე. ნუცუბიძე (დაწყებითი კლასების რუსული ენის), გრ. შენგელია (ბიოლოგიის)—დიდი ჯიხაიშის საშუალო სკოლაში; თ. გოთოშია (ქართული ენა და ლიტერატურა), თ. ახობაძე (ბიოლოგიის)—სამტრედიის ქალთა საშუალო სკოლაში; გ. ახობაძე („გეოგრაფიის")—კულაშის ვ. სტურუას სახელობის საშუალო სკოლაში.

აღნიშნული მასწავლებლები მეთოდიკურ-ორგანიზაციული თვალსაზრისით გაკვეთილებს ატარებენ სწორად, მუშაობაში აბამენ მოსწავლეთა მთელ კოლექტივს, სწავლებაში მოხდენილად იყენებენ თვალსაჩინოებას, სასწავლო მასალას მოსწავლეებს გადასცემენ თანმიმდევრობით, მოსწავლეთათვის მისაწვდომი ფორმით, გაკვეთილებზე მიზანშეწონილად წარმართავენ აღმზრდელობით მუშაობას, სწორად აწარმოებენ კლასგარეშე კითხვას და აღწევენ მოსწავლეთა მიერ სასწავლო მასალის შეგნებულად შეთვისებას, ზეპირი და წერითი მეტყველების კულტურის ამაღლებას და მოსწავლეებში სწორი, მეცნიერული შეხედულების გამომუშავებას;

მიუხედავად ამისა აღნიშნულ სკოლების სასწავლო-საალმზრდელო მუშაობაში ადგილი აქვს საგრძნობ ნაკლოვანებებს:

1. სამტრედიის რუსულ საშუალო სკოლაში პედაგოგიური საბჭოს სხდომები არ იწვევა დებულებით დადგენილი რაოდენობით; 1946 წლის 31 აგვისტოდან 1947 წლის 10 მარტამდე ჩატარებულია 8 სხდომა; პედაგოგიური საბჭოს სხდომაზე განხილულია უმთავრესად ზოგად-პედაგოგიური ხასიათის საკითხები, არ არის პრაქტიკაში ცალკე სასწავლო დისციპლინების სწავლების მდგომარეობის მოსმენა. პედაგოგიური საბჭოს სხდომებზე მხოლოდ ერთხელ არის მოსმენილი მე-5, მე-7 კლასებში რუსული ენის სწავლების საკითხი.

2. დაწყებითი კლასების მეთოდური გაერთიანებისა და V-XI კლასების საგნობრივ კომისიების მუშაობა უმთავრესად ზოგად პე-

დაგოგიურ-მეთოდიკური საკითხების განხილვით შემოიფარგლება და იშვიათად წარმოებს სკოლაში ამა თუ იმ სასწავლო დისციპლინის სწავლების მდგომარეობის შესწავლა და მუშაობის ხარისხის გაუმჯობესებისათვის საჭირო ღონისძიებათა დასახვა.

3. გაკვეთილების ცხრილში სამუშაო დღეები არ არის დატვირთული თანაბრად; ის საგნები, რომელთაც სასწავლო გეგმით კვირაში ორი-სამი საათი აქვს დათმობილი, ზედი-ზედ არის გათვალისწინებული ცხრილში, სუფთა წერას დათმობილი აქვს უკანასკნელი გაკვეთილები.

4. კლასის ხელმძღვანელთა სასწავლო-საალმზრდელო მუშაობის გეგმები უმთავრესად ზოგადი და არაკალენდარულია, მათში არასაკმაოდ არის გათვალისწინებული სკოლისა და კლასის მდგომარეობის შესატყვისი საკითხები. ზოგიერთი კლასის ხელმძღვანელის გეგმაში ვხვდებით ენობრივი ხასიათის შეცდომებს.

5. საგნის წლიურ-კალენდარულ გეგმებში ფიზიკასა, ქიმიასა, ბიოლოგიასა და გეოგრაფიაში, მცირე გამონაკლისის გარდა, არ არის ნაჩვენები თვალსაჩინო-დიდაქტიკური მასალა, დამხმარე ლიტერატურა, პრაქტიკულ-ლაბორატორიული ხასიათის სამუშაო ექსკურსიები და განმეორება.

6. კლასგარეშე საგნობრივი წრეების მუშაობის გეგმებში უმთავრესად პროგრამებით გათვალისწინებული თემების დამუშავებაა გათვალისწინებული.

7. საკლასო ჟურნალების წარმოება არა დგას სათანადო სიმაღლეზე, მოსწავლეთა ცოდნის შეფასების ნიშნები არ იწერება დადგენილი წესით, ვხდებით ასეთ ნიშნებს: 3—, 3=, 5— (სამტრედიის რუსული საშუალო სკოლა), დამუშავებული სასწავლო მასალა ჟურნალში არ იწერება გარკვევით, ვხვდებით ასეთ ჩანაწერებს: „განმეორება“, „ზეპირი ანგარიში“, „წერა“ და სხვ.

8. ზოგიერთი სასწავლო დისციპლინის სწავლების საქმეში ადგილი აქვს გარკვეულ ნაკლოვანებებს:

ა) კულაშის ვ. სტურუას სახელობის საშუალო სკოლის XI კლასის მოსწავლეთა ცოდნის დონე რუსულ ენასა და ლიტერატურაში დაბალია (მასწავლებელი ქაჯაია), მათ უძნელდებათ წინადადების სინტაქსური და მორფოლოგიური გარჩევა, წინადადებათა სახეების განმარტება, სასვენი და რბილი ნიშნის ხმარება. განვლილი

მასალა ლიტერატურიდან იციან დამაკმაყოფილებლად, მაგრამ მეტყველების დაბალი კულტურის გამო უძნელდებათ მასალის დალაგებული თხრობით გადმოცემა. განვლილი მასალის განმეორებას არ აქვს თანმიმდევრული და სისტემატური ხასიათი.

ბ) არადამაკმაყოფილებლად არის დაყენებული სამოქალაქო ისტორიის სწავლება ამავე სკოლის VI და VIII კლასებში—მასწავლებელი მიქაძე. VI კლასის მოსწავლეებმა სრულებით არ იციან განვლილი მასალა, მათ ვერ შესძლეს რუკაზე აპენინის ნახევარ კუნძულის ჩვენება და მისი ბუნების აღწერა; წარმოდგენა არ აქვთ იმაზე, თუ სად მდებარეობდა კართაგენი, ან როგორი სახელმწიფოებრივი წყობილება იყო იქ; არ იციან ვინ იყო სპარტაკი, წარმოდგენა არ აქვთ დასავლეთ რომის იმპერიის დაცემის მიზეზებზე, ვერ აღწერეს მონების მდგომარეობა რომში და სხვ.

გ) ბუნებისმეტყველების სწავლება ზოგიერთ შესწავლილ სკოლაში არ დგას სათანადო სიმაღლეზე. დიდიჯიხაიშის საშუალო სკოლის მე-4 კლასის მოსწავლეების ცოდნა არ არის ღრმა და მტკიცე, მათ არ ეხერხებათ მასალის გამართული თხრობით გადმოცემა, ერთმანეთში ურევენ ცნებებს „სახეობა“ და „ჯიში“, ვერ ახერხებენ ტერმინების სწორად გამოთქმას, მათ ვერ დაასახელეს ადამიანის მსგავსი მაიმუნები, უშვებენ უმართებულო გამოთქმებს: „მხედველობა მოთავსებული აქვს ქუთუთოების ქვეშ“, „პირი აქვს წაგრძელებული“ და სხვა (მასწ. მ. დევიძე). ახალი მასალის „ადამიანის სხეულის აგებულების“ ახსნისას მასწავლებელმაც დაუშვა არასწორი გამოთქმები და განმარტებანი: „ადამიანს აქვს შინაგანი კუდი“ (იგულისხმება კუდუსუნის მალები), არასწორად განმარტა რუდიმენტალური ორგანოები, რუდიმენტისა და ატავიზმის ცნებები არ განასხვავა ერთი მეორისაგან; ახალი სასწავლო მასალის ახნისას არ გამოიყენა თვალსაჩინოება, შედარებები, ანალოგიები და სხვ.

მასალის ასეთივე დაბალი ცოდნა გამოამჟღავნეს კულაშის საშუალო სკოლის IV კლასის მოსწავლეებმა (მასწ. ჯ. სტურუა). სამტრედიის ქალთა საშუალო სკოლის მე-7 კლასის მოსწავლეებმა (მასწავლებელი ახობაძე) არადამაკმაყოფილებლად იციან განვლილი მასალა ზოოლოგიიდან. გაკვეთილის მასალა „კლასი ძუძუმწოვრებისა, საქართველოში გავრცელებული ძუძუმწოვარა ცხოველთა ჯიშები“ მოსწავლეებს არ აქვთ სწორად შეთვისებული, გამოძახე-

ბულმა მოსწავლემ განმარტა: „ხევსურული ჯიშის ძროხა დიდი ტანისაა, ზაფხულობით ხევსურული ძროხები მიჰყავთ შავიწყოის სანაპიროზე და იქ ისლით კვებავენ“, მეორე მოსწავლემ კამეჩის დახასიათებისას განაცხადა: „კამეჩს სიცხეში მუშაობა ეზარება“-ო, მესამე მოსწავლის განმარტებით მეგრული თხა შეტად დიდია, იწონის ას კილოგრამზე მეტს და იწველის 800 ლიტრ რძეს. განვლილი მასალიდან მოსწავლეებმა არამტკიცედ იციან: თევზის აგებულება, ძვლოვანი და ხრტილოვანი თევზები. ორნაირად მსუნთქავი თევზი, მისი გავრცელების არეები, შხამიანი გველი და მისი კბილები და სხვა, რაც იმით აიხსნება, რომ განვლილი მასალის განმეორებისას არ აქვს სისტემატური ხასიათი.

9. შესწავლილი სკოლების დაწყებითი კლასების ზოგიერთი მასწავლებელი ჯეროვანი ყურადღებით არ ეკიდება წერით მუშაობას, სათანადო ყურადღებას არ აქცევს სწორ დაწერილობას, სწორი დაწერილობის ნიმუშების მიცემას, წერითი სამუშაოების ფაქიზად შესრულებას, მოსწავლეთა მიერ დაშვებული შეცდომების გასწორებას და მოსწავლეთა მუშაობას შეცდომების გასწორებაზე (დიდი ჯიხაიშის საშუალო სკოლა—I კლასების მასწავლებლები ბ. ვაშაკიძე და ქ. ნუცუბიძე; კულაშის, ვ. სტურუას სახ. საშ. სკოლა—I კლასის მასწ. მ. სტურუა, II კლ. მასწ. მიქელაძე და სხვ. ამავე სკოლის XI კლასის მოსწავლეთა წერითი მეტყველების დონე დაბალია). ადგილი აქვს შეცდომების გაუსწორებლობას.

სამტრედიის რაიონის გამოკვლეულ სკოლებში სასწავლო-საალმზრდელო მუშაობას ხარისხის გაუმჯობესებისა და მოსწავლეთა ცოდნის დონის ამაღლებისათვის საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს დაწყებითი და საშუალო სკოლის სამმართველოს საჭიროდ მიაჩნია გატარდეს შემდეგი ღონისძიებანი:

I. სკოლის დირექტორებმა:

1. გააძლიერონ ხელმძღვანელობა და კონტროლი დაწყებითი კლასების საკლასო მეთოდური კომისიებისა და IV-IX კლასების საგნობრივი მეთოდური კომისიების მუშაობაზე; სკოლაში მეთოდური მუშაობის მდგომარეობის საკითხი მოისმინონ პედაგოგიური საბჭოს უახლოეს სხდომაზე და დასახონ სათანადო ღონისძიებანი. ამ საქმეში განუხრელად იხელმძღვანელონ საქართველოს სსრ გა-

ნათლების სამინისტროს მიერ დამტკიცებულ დებულებით „სკოლაში მეთოდური მუშაობის შესახებ“ (იხ. განათლების სამინისტროს ბრძანებათა და განკარგულებათა კრებული № 11-12, 1946 წ.)

2. ქ. სამტრედიის ვაჟთა საშუალო სკოლის დირექტორმა პედაგოგიური საბჭოს მუშაობა წარმართოს დებულების შესაბამისად, სასწავლო მეოთხედში პედაგოგიური საბჭოს სხდომები მოიწვიოს დადგენილი რაოდენობით, სხდომებზე პერიოდულად განიხილოს ცალკე სასწავლო დისციპლინების სწავლების მდგომარეობა, განაზოგადოს მოწინავე მასწავლებელთა მუშაობა და დასახოს სწავლების ხარისხის გაუმჯობესებისა და მოსწავლეთა ცოდნის დონის ამაღლებისათვის საჭირო ღონისძიებანი;

3. გაკვეთილების ცხრილი შეასწოროს ისე, რომ უზრუნველყოფილი იქნას სამუშაო დღეების თანაბარი დატვირთვა, არ დაუშვან ისეთი საგნების, რომელთაც სასწავლო გეგმით კვირაში ორისამი საათი აქვს დათმობილი ზედიზედ შეტანა ცხრილში; სუფთა წერას დაუთმონ მეორე ან მესამე გაკვეთილი და განუხრელი კონტროლი დააწესონ გაკვეთილების ცხრილის განუხრელად შესრულებაზე.

4. 5 დღის ვადაში მოიწვიონ კლასის ხელმძღვანელთა თათბირი და განიხილონ კლასის ხელმძღვანელთა სასწავლო-საალმზრდელო მუშაობის აგეგმვა-აღრიცხვის საკითხი და მიაღწიონ მათი მუშაობის გადაჭრით გაუმჯობესებას.

5. სისტემატური კონტროლი დააწესონ საკლასო ჟურნალების წარმოებაზე და უზრუნველჰყონ საკლასო ჟურნალებში ყოველგვარი ცნობების თავის დროზე ,ზუსტად და ფაქიზად ჩაწერა. განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ მოსწავლეთა ცოდნის შეფასების ნიშნების შეტანას საკლასო ჟურნალში. პირადად შეამოწმონ ცოდნის შეფასების მეოთხედური ნიშნების შესაბამისობა მიმდინარე შეფასების ნიშნებთან.

6. ყოველდღიური ხელმძღვანელობა და კონტროლი განახორციელონ ცალკე სასწავლო დისციპლინების სწავლების მიმდინარეობაზე; პირადად შეამოწმონ პროგრამებით გათვალისწინებული სასწავლო მასალის გავლისა და განვლილის განმეორების მდგომარეობა და მოსწავლეთა ცოდნის დონე; საფუძვლიანად შეამოწმონ რამდენად სწორად ატარებს მასწავლებელი აღმზრდელობით მუ-

შაობას გაკვეთილზე და როგორ იყენებს სასწავლო მასალას მოსწავლეებში სწორი მეცნიერული შეხედულების გამომუშავებისათვის. გაკვეთილების მოსმენის შედეგები პერიოდულად მოისმინოს პედაგოგიური საბჭოს სხდომაზე და დასახონ ისეთი ღონისძიებანი, რაც ნამდვილად უზრუნველჰყოფს პროგრამებით გათვალისწინებულ მასალის მთლიანად გავლას, განვლილის საფუძვლიანად განმეორებას და მოსწავლეთა ცოდნის დონის ამაღლებას;

7. კულაშის ვ. სტურუას სახელობის საშუალო სკოლის დირექტორმა განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს სამოქალაქო ისტორიის მასწავლებელ მიქაძის მუშაობას, ხშირად მოისმინოს მისი გაკვეთილები და დასახოს საგნის სწავლების ხარისხის ამაღლებისა და მოსწავლეთა ცოდნის დონის ამაღლებისათვის საჭირო ღონისძიებანი; XI კლასში რუსული ენისა და ლიტერატურის სწავლებისა და მოსწავლეთა ცოდნის საკითხი განიხილონ პედაგოგიური საბჭოს უახლოეს სხდომაზე და სათანადო ღონისძიებათა გატარებით უზრუნველჰყონ მოსწავლეთა ცოდნის დონის ამაღლება.

8. პირადად შეამოწმონ ქიმიის, ფიზიკისა და ბიოლოგიის მასწავლებელთა მიერ სწავლებაში თვალსაჩინოების გამოყენების საქმე და სათანადო ზომების მიღებით მიაღწიონ იმას, რომ ამ საგნების სწავლებაში ფართოდ დაინერგოს თვალსაჩინოება—ცდები, დაკვირვებები, პრაქტიკულ-ლაბორატორული მუშაობა, ექსკურსიები და სხვ.

II. ცალკე სასწავლო დისციპლინების მასწავლებლებმა:

1. სისტემატურად იმუშაონ იდეურ-პოლიტიკური მომზადების დონის ამაღლებასა და პედაგოგიკურ-მეთოდიკურ დახელოვნებაზე, საგნების სწავლება წარმართონ ისე, რომ მოსწავლეები საფუძვლიანად ეუფლებოდნენ მეცნიერებათა საფუძვლებს და ცოდნის საფუძველზე მტკიცე საფუძველი ეყრებოდეს მათში საზოგადოებრივსა და ბუნების მოვლენებზე დიალექტიკურ-მატერიალისტური შეხედულების გამომუშავებას;

2. რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლებმა განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ მოსწავლეთა მიერ რუსული სიტყვებისა და გამოთქმების შეგნებულად და სწორად დასწავლას, გრამატიკული წესების გააზრებულად შეთვისებას და ამ წესების

ზეპირი და წერითი მეტყველების დროს მართებულად გამოყენებას. სისტემატური ხასიათი მისცენ სალექსიკონო მუშაობას; დანერგონ მოსწავლეებში ლიტერატურულ ტექსტზე მუშაობის ჩვეულება, სწორად შეასწავლონ მათ რუსული კლასიკური და საბჭოთა ლიტერატურის ნიმუშები; IX, X, XI კლასებში ლიტერატურული მასალის გავლისას გაამახვილონ მოსწავლეთა ყურადღება ნაწარმოებთა შექმნის ეპოქის თავისებურებაზე, მწერლის იდეოლოგიაზე, ნაწარმოების ჟანრზე და იმ როლზე, რაც ამა თუ იმ ნაწარმოებმა შეასრულა მშრომელი მოსახლეობის გათვითცნობიერების საქმეში; გააცნონ მოსწავლეებს ლენინისა და სტალინის შეხედულებანი კლასიკური და საბჭოთა მწერლების შესახებ; დანერგონ მოსწავლეებში კლასგარეშე საკითხავ ლიტერატურაზე და ჟურნალ-გაზეთებზე მუშაობის ჩვევები და მიაღწიონ იმას, რომ მოსწავლეები საფუძვლიანად დაეუფლონ პროგრამებით გათვალისწინებულ მასალას რუსულ ენასა და ლიტერატურაში და რომ შეეძლოთ მათ რუსული მხატვრული და მეცნიერული ლიტერატურით სარგებლობა.

3. სამოქალაქო ისტორიის მასწავლებლებმა გააძლიერონ მუშაობა იმ მიმართულებით, რომ მოსწავლეები შეგნებულად ითვისებდნენ ისტორიული მოვლენების წარმოშობასა და განვითარების მიზეზებს, სწორად ერკვეოდნენ ისტორიულ მოვლენებში, შეეძლოთ ისტორიულ პირთა სწორი დახასიათება, იცოდნენ ქრონოლოგია, გამომუშავდეს მათში რუკის კითხვის ჩვევები და მიაღწიონ იმას, რომ მოსწავლეებს შეეძლოთ ისტორიული მასალის გააზრებულად დალაგებული თხრობით გადმოცემა და ისტორიული მოვლენის ანალიზი. ისტორიის სწავლებაში ფართოდ გამოიყენონ თვალსაჩინოება;—რუკები, პლაკატები, სურათები და ექსკურსია.

სამოქალაქო ისტორიის სწავლებისას განუხრელად იხელმძღვანელონ სსრკ სახკომსაბჭოსა და საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1934 წლის 16 მაისის დადგენილებით „სსრკ სკოლებში სამოქალაქო ისტორიის სწავლების შესახებ“.

4. ქიმიისა და ბიოლოგიის მასწავლებლებმა გადაჭრით ვააუმჯობესონ სწავლების გათვალსაჩინოების საქმე, ფართო ადგილი დაუთმონ მოსწავლეთა პრაქტიკულ მუშაობას სასკოლო მიწის ნაკვეთზე და ბუნების ცოცხალ კუთხეში, ჩაატარონ ექსკურსიები ბუნებაში, კოლექტიურსა და საბჭოთა მეურნეობაში, მეცხოველეობი-

სა და მეფრინველეობის ფერმებში და სასოფლო-სამეურნეო ხასიათის წარმოებებში; ექსკურსიების დროს ბუნებაში გააცნონ მოსწავლეებს ცოცხალ ორგანიზმთა გარემოსთან შეგუების სამარჯვეები და არსებობისათვის ბრძოლის ფაქტები და ნათელი გახადონ მოსწავლეთათვის შეგუების მიზანშეწონილობის შეფარდებითი ხასიათი. სასოფლო-სამეურნეო ობიექტებში გააცნონ მოსწავლეებს სოციალისტური სოფლის მეურნეობის პრაქტიკული საკითხები (მემინდვრეობიდან, მეცხოველეობა-მეფრინველეობიდან, მეაბრეშუმეობიდან, მებოსტნეობიდან და სხვ.).

ახალი მასალის გავლასთან ერთად სისტემატური ხასიათი მისცენ წინათ გავლილის საფუძვლიან განმეორებას; განმეორებისას განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ მოსწავლეთა მიერ ცალკე თემებს შორის ორგანიული კავშირის დადგენას და პროგრამით გათვალისწინებულ სასწავლო მასალის კურსზე ერთგვარად დასრულებული—გამთლიანებული ცოდნის შეძენას და მიაღწიონ იმას, რომ მოსწავლეებს ნათელი და გარკვეულად სწორი მატერიალისტური წარმოდგენა-შეხედულება გამოუმუშავდეს ბუნების მოვლენებზე.

VI და VII კლასებში საფუძვლიანად გაიმეორონ წინაწლებში გავლილი მასალა ბოტანიკასა და ზოოლოგიაში და მოამზადონ მოსწავლეები შემოწმებითი გამოცდებისათვის.

5. გეოგრაფიის მასწავლებლებმა სწავლებაში მიზანშეწონილად გამოიყენონ რუკა და სხვა სახის თვალსაჩინოება, განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ მოსწავლეთა მიერ გეოგრაფიული სახელების სწორად შეთვისებას. VIII კლასის კურსის გავლასთან ერთად საფუძვლიანად გაიმეორონ V და VI კლასში გავლილი მასალა.

გეოგრაფიის სწავლებისას განუხრელად იხელმძღვანელონ სსრკ სახკომსაბჭოსა და საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1934 წლის 16 მაისის დადგენილებით „სსრკ სკოლებში გეოგრაფიის სწავლების შესახებ“.

6. ქართული და რუსული ენებისა და ლიტერატურის მასწავლებლებმა გადაჭრით გაუმჯობესონ წერითი მუშაობა; დაწყებითი კლასების მასწავლებლებმა განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ მოსწავლეებში კალიგრაფიულად სწორად წერის ჩვევების გამომუშავებას; გულდასმით გაასწორონ მოსწავლეთა წერითი ნამუშევ-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რები. შეავსონ ისინი ობიექტურად და სისტემატურად ავარჯიშონ მოსწავლეები დაშვებული შეცდომების გასწორებაზე.

III. კლასის ხელმძღვანელებმა:

1. გადაჭრით გააუმჯობესონ აღმზრდელობითი მუშაობა; სასწავლო-საალმზრდელო მუშაობის გეგმებში გაითვალისწინონ კლასის მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურების შესაბამისი საკითხები; განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ მოსწავლეთა ცოდნის დონის ამაღლებისათვის საჭირო ღონისძიებათა დასახვასა და გატარებას; პირადად უხელმძღვანელონ მოსწავლეთა კლასგარეშე კითხვას; გააძლიერონ მშობელთა შორის მუშაობა, გეგმაზომიერად ჩაატარონ მშობლებში მოხსენებები და საუბრები ბავშვთა და მოზარდთა აღზრდის საკითხებზე. მიზანშეწონილად წარმართონ მოსწავლეთა კლასგარეშე და სკოლისგარეშე მუშაობა, პირადად შეამოწმონ მოსწავლეთა მუშაობა საგნობრივსა და თვითშემოქმედებითი წრეების მუშაობაში; მიზანშეწონილად მოაწესრიგონ მოსწავლეთა კოლექტიური დასწრება კინოფილმებზე და სპექტაკლებზე, ჩაატარონ სასწავლო ხასიათის ექსკურსიები და სისტემატურად უხელმძღვანელონ მოსწავლეთა მიერ ქცევის წესების შესრულების საქმეს.

IV. განათლების განყოფილებამ:

1. გააძლიეროს მუშაობა მასწავლებელთა იდეურ-პოლიტიკური მომზადების დონის ამაღლებისა და პედაგოგიურ-მეთოდური კეთილმოყოფნების დარგში: პერიოდულად მოაწყოს მასწავლებელთათვის მეცნიერული ხასიათის ლექციები, მოხსენებები და სემინარული მუშაობა.

2. ერთი კვირის ვადაში შეისწავლოს სკოლებში პროგრამებით გათვალისწინებული სასწავლო მასალის გავლისა და განვლილის განმეორების მიმდინარეობა და დასახოს ისეთი ღონისძიებანი, რაც ნამდვილად უზრუნველჰყოფს სასწავლო წლის მაღალი მაჩვენებლებით დასრულებას.

3. ეს ღონისძიებები დაიყვანოს სკოლებამდე და უზრუნველჰყოს მათი შესრულება.

დაწყებითი და საშუალო სკოლის სამმართველოს უფროსი

უშ. ოგოლაძე

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა № 816

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსადმი

1947 წლის 30 აპრილი

კასპის, მცხეთის, თბილისისა და საგარეჯოს რაიონების, მცხეთის, კასპის, ლამისყანის, მუხრანის, ავჭალის რუსული და ქართული, სართიჭალის საშუალო, გიორგისტალისა და იგოეთის რვაწლიან სკოლებში გადასაყვანი და გამოსაშვები გამოცდებისათვის მზადების მიმდინარეობის შესახებ

აღვნიშნავ, რომ მცხეთის, კასპის, თბილისისა და საგარეჯოს რაიონების ზოგ სკოლაში ძირითადად დამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს გადასაყვანი და გამოსაშვები გამოცდებისათვის სამზადისი; პედაგოგიურ საბჭოსა და მშობელთა კომიტეტების სხდომებზე განხილულია საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს დებულება და ინსტრუქციები, აკადემიურად ჩამორჩენილ მოსწავლეებთან ტარდება დამატებითი მეცადინეობა, დაწყებულია საგამოცდო ცხრილისა და ბილეთების შედგენა, მოსწავლეები განტვირთული არიან ზედმეტი საზოგადოებრივი დავალებებისაგან, პროგრამებით გათვალისწინებული სასწავლო მასალის გაღლა და განვლილის განმეორება შეუფერხებლად მიმდინარეობს და სხვ.

მიუხედავად ამისა, შესწავლილ სკოლებში გადასაყვანი და გამოსაშვები გამოცდებისათვის მზადების საქმეში ადგილი აქვს მთელ რიგ ნაკლოვანებებს, ამათგან მთავარია შემდეგი:

ა) ზოგ სკოლაში აკადემიურად ჩამორჩენილ მოსწავლეებთან მუშაობას არ ჰქონია სისტემატური ხასიათი და მათდამი არ ხორციელდებოდა ინდივიდუალური და დიფერენცირებული მიდგომა, რის გამოც დაბალია მოსწავლეთა აკადემიური წარმატების დონე. მაგალ.; მცხეთის საშუალო სკოლის 411 მოსწავლიდან ვერ ასწრებს 107 მოსწავლე, კასპის რაიონის იგოეთის რვაწლიანი სკოლის 135 მოსწავლიდან—47, მცხეთის რაიონის გიორგისტალის 179 მოსწავლიდან—47 მოსწავლე, საგარეჯოს რაიონის სართიჭალის საშუალო

სკოლის XI კლასის 16 მოსწავლიდან—5 მოსწავლე, X კლასის 6 მოსწავლიდან—4 მოსწავლე და ა. შ. ამ სკოლაში მოსწავლეთა აკადემიური წარმატების დონე მეორე მეოთხედთან შედარებით ცვლილებულობს მესამე მეოთხედში, ასე, მაგალითად, X კლასის მოსწავლე ნ. გ-ს მეორე მეოთხედში ხუთ საგანში ჰქონდა ნიშანი „2“, მესამე მეოთხედში კი რვა საგანში აქვს;

შესწავლილი სკოლების 465 მეორეწლიან მოსწავლიდან ვერ ასწრებს 134 მოსწავლე, ანუ 29,4%.

ზოგან არასწორად არის გაგებული აკადემიურად ჩამორჩენილ მოსწავლეებთან დამატებითი მუშაობის წარმოების საქმე. მაგალითად, იგოეთის რვაწლიან სკოლაში ყველა მოსწავლეებთან ტარდება დამატებითი გაკვეთილები და კონსულტაციები, ხოლო სართიჭალის საშუალო სკოლაში აკადემიურად ჩამორჩენილ მოსწავლეებთან მუშაობას და დამატებითი გაკვეთილების ჩატარებას არ ჰქონია მიქცეული სათანადო ყურადღება.

სართიჭალის მე-5 კლასის მოსწავლეები სუსტად არიან გარკვეული პროგრამებით გათვალისწინებულ მასალაში ქართულ ენაში, მათ არ იციან წინადადებისა და მისი წევრების გარჩევა, ვერ განმარტეს რას ეწოდება მარტივი გაუვრცობელი და გავრცობილი წინადადება და სხვ.

ავჭალის რუსულ საშუალო სკოლაში დიდი ჩამორჩენილობაა ისტორიის პროგრამებით გათვალისწინებულ მასალის გავლის საქმეში; XI კლასში არ არის გავლილი მესამე მეოთხედის მასალა.

იგოეთის რვაწლიანი სკოლის მე-5 კლასის მოსწავლეებმა მეტად დაბალი ცოდნა გამოამჟღავნეს ისტორიაში, მათ არ იციან ვინ იყო ალექსანდრე მაკედონელი, ძველი საბერძნეთის სარწმუნოება, მათ ბუნდოვანი წარმოდგენა აქვთ საბერძნეთის ლიტერატურასა და ხელოვნებაზე. ფილოსოფოსი პლატონი წარმოდგენილი ჰყავთ, როგორც ხუროთმოძღვარი მშენებელი, არასწორად გამოთქვამენ ისტორიულ პირთა სახელებს:—ამბობენ: ევროპიდე, სოფიკლე, არისტოტილე და სხვ.

სართიჭალის საშუალო სკოლის ქიმიის მასწავლებელი არ იცნობს განათლების სამინისტროს პროგრამებს და ის X კლასში ასწავლის „ქრომს“, რომელიც რამოდენიმე წლის წინად იქნა ამოღებული პროგრამიდან.

ამავე სკოლაში მასწავლებელთა მიერ ხშირად ცდება გაკვეთილები, ასე, მაგალითად, X კლასში 3 თებერვლიდან 8 თებერვლამდე 11 გაკვეთილია გაცდენილი, ხოლო VII კლასში—9—14/XII-ამდე მათემატიკისა და ფიზიკის 7 გაკვეთილი და ა. შ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბ) **სახელმძღვანელო წიგნების ცუდი განაწილებისა და მოსწავლეებამდე დროულად დაუყვანლობის გამო შემოწმებული სკოლების მოსწავლეთა ერთი ნაწილი არ არის უზრუნველყოფილი სახელმძღვანელო წიგნებით;** გიორგისტალის რვაწლიანი სკოლის 179 მოსწავლეს სხვადასხვა სახის 395 ცალი სახელმძღვანელო არ აქვს; ამ სკოლის მე-7 კლასის მოსწავლიდან ფიზიკის სახელმძღვანელო მხოლოდ ორ მოსწავლეს აქვს, ლამისყანის საშუალო სკოლაში მე-5 კლასის 40 მოსწავლიდან გრამატიკის სახელმძღვანელო მხოლოდ 19 მოსწავლეს აქვს, მუხრანის საშუალო სკოლის X კლასის მოსწავლეებს აკლიათ 18 ცალი გერმანული ენის სახელმძღვანელო, 7 ცალი გეომეტრიის სახელმძღვანელო, 6 ცალი ქიმიის ამოცანათა კრებული; IV კლასის მოსწავლეებს—60 ცალი გეოგრაფიის სახელმძღვანელო,—40 ცალი სსრკ ისტორიის,—30 ცალი, არითმეტიკის ამოცანათა კრებული და სხვ.

ვბრძანებ:

დაევალოს განათლების განყოფილებათა გამგეებს:

1. იმ მოსწავლეებთან, რომლებიც წინასწარი აკადემიური მაჩვენებლების მიხედვით, დაშვებულნი უნდა იქნენ გამოცდებზე, მაგრამ სუსტად არიან მომზადებულნი ცალკე საგნებში, ამ საგნებში მოაწყონ ყოველდღიური დამატებითი მეცადინეობა;

2. სისტემატური კონტროლი და ხელმძღვანელობა აგუწიონ სკოლებს კლასიდან კლასში გადასაყვანი და გამოსაშვები გამოცდებისათვის მზადების საქმეში, საფუძვლიანად შეამოწმონ სკოლებში პროგრამებით გათვალისწინებული სასწავლო მასალის გავლისა, განვლილის განმეორებისა და აკადემიურად ჩამორჩენილ მოსწავლეებთან მუშაობის მიმდინარეობა და დასახონ ისეთი ღონისძიებანი, რაც ნამდვილად უზრუნველჰყოფს მოსწავლეთა მაღალხარისხოვნად მომზადებას გამოცდებისათვის და გამოცდების ორგანიზებულად ჩატარებას.

3. სკოლის დირექტორებმა ყოველდღიური ხელმძღვანელობა

22/617

და კონტროლი დააწესონ პროგრამებით გათვალისწინებული სასწავლო მასალის სრულად გავლისა და განვლილის საფუძვლიანი განმეორების მიმდინარეობაზე, პირადად შეამოწმონ მოსწავლეთა ცოდნის დონე და გაატარონ მათი მომზადების ხარისხის ამაღლებისათვის საჭირო ღონისძიებანი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ მეორეწლიან და აკადემიურად ჩამორჩენილ მოსწავლეებთან მუშაობას, გეგმაზომიერად მოაწყონ მათთან კონსულტაციები და დამატებითი მეცადინეობა, განახორციელონ მათდამი ინდივიდუალური და დიფერენცირებული მიდგომა და მიაღწიონ მათი აკადემიური წარმატების დონის ამაღლებას.

4. ავჭალის რუსული საშუალო სკოლის დირექტორმა ა. კენჭაძემ XI კლასში საშოქალაქო ისტორიის გაგლისა და განმეორების საქმეში არსებული ჩამორჩენილობის აღმოფხვრის მიზნით კვირაში სამჯერ მოაწყოს დამატებითი მეცადინეობა და უზრუნველყოს მოსწავლეთა მიერ პროგრამებით გათვალისწინებულ სასწავლო მასალის საფუძვლიანი შეთვისება;

5. გიორგისტალის რვაწლიანი სკოლის დირექტორმა გრ. მარუაშვილმა ყოველდღიურად შეამოწმოს ქიმიის სწავლების მიმდინარეობა VIII კლასში, კვირაში ორჯერ მოაწყოს ამ კლასში დამატებითი მეცადინეობა და მიაღწიოს მოსწავლეთა ცოდნის დონის გადაჭრით გაუმჯობესებას.

6. სართიჭალის საშუალო სკოლის დირექტორმა ს. გენგაშვილმა მოაწესრიგოს განვლილი მასალის განმეორების საქმე, უზრუნველყოს აკადემიურად ჩამორჩენილ მოსწავლეთათვის კონსულტაციებისა და დამატებითი მეცადინეობის ჩატარება; განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს X და XI კლასების მომზადების დონის ამაღლებას.

7. ეს ბრძანება 1947 წლის 5 მაისამდე განხილულ იქნას ყველა დაწყებით, რვაწლიან და საშუალო სკოლების პედაგოგიურ საბჭოს სხდომებზე და დასახულ იქნას სათანადო ღონისძიებანი.

საქართველოს სსრ განათლების მინისტრი ვ. კუპრაძე

პასუხისმგებელი რედაქტორი მ. ბურჭულაძე

შეკვეთა № 947. ტირაჟი 2000. უე 11558.

ლ. ბ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, ლენინის, ქ. № 28